

სსიპ ქალაქ ბათუმის №2 საჯარო სკოლა

მოსწავლეთა მოტივაციის ამაღლება ქიმიის
გაკვეთილზე საბაზო საფეხურზე

ინეზა თედორაძე-ჩიტაძის

სამოქმედო კვლევის ანგარიში 2023-24 წწ.

წინასიტყვაობა

წინამდებარე ნაშრომი წარმოადგენს სსიპ ქალაქ ბათუმის მეორე საჯარო სკოლის ბაზაზე განხორციელებული სამოქმედო კვლევის ანგარიშს. კვლევაში განხილულია სწავლა-სწავლების პროცესში მოსწავლეთა დაბალი მოტივაციით გამოწვეული პრობლემები, მისი გამომწვევი მიზეზები და ამ პრობლემის გადასაჭრელად დაგეგმილი სხვადასხვა აქტივობები. ნაშრომი შედგება რვა თავისაგან. თითოეულ თავში მოცემულია საკვლევი საკითხის ზოგადი მიმოხილვა. I თავი მოიცავს საკვლევი საკითხის ზოგად მიმოხილვას, მის გამომწვევ სავარაუდო მიზეზებს, კვლევის მიზანს და ამოცანებს; II თავი ლიტერატურის მიმოხილვას ეთმობა, III თავში ის ძირითადი საკითხებია განხილული, რომლებიც კვლევის მეთოდებს, ვადებს და სამიზნე ჯგუფს ეხება. IV თავი კვლევის საფუძველზე შეგროვილი მონაცემების ანალიზს, გამოკვეთილ მიგნებებს და შესაძლო ინტერვენციებს მოიცავს, V თავი – რეკომენდაციებს და ინტერვენციების შეფასებას. VI თავში გაკეთებულია დასკვნა, ხოლო VII-VIII თავებში მოცემულია გამოყენებული ლიტერატურა და დანართები.

2023-24 სასწავლო წელს მივიღე გადაწყვეტილება, ჩამეტარებინა სამოქმედო კვლევა და გამომეკვთა ის სფერო, რომელიც სკოლის მასწავლებლებისა და მოსწავლეების აზრით საჭიროებდა ცვლილებების შეტანას და გაუმჯობესებას.

ს ა რ ზ ე ვ ი

შესავალი.....	გვ.3
საკვლევი საკითხის მიმოხილვა.....	გვ.4
კვლევის მიზანი.....	გვ.5
კვლევის ძირითადი შეკითხვა.....	გვ.5
ლიტერატურის მიმოხილვა	გვ. 6
კვლევის სამიზნე ჯგუფი	გვ.10
კვლევის გეგმა და ვადები.....	გვ.10
კვლევის მეთოდები და ინსტრუმენტები.....	გვ.10
მონაცემთა ანალიზი.....	გვ.10
კვლევის შედეგები.....	გვ.16
ინტერვენციების აღწერა.....	გვ.17
ინტერვენციების შეფასება.....	გვ.22
დასკვნა.....	გვ.24
რეკომენდაციები.....	გვ.25
ბიბლიოგრაფია.....	გვ.25
დანართები.....	გვ.26
რეზიუმე.....	გვ.26

შესავალი

საბუნებისმეტყველო დისციპლინების სწავლების მიზანია აზიაროს მოსწავლე საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საფუძვლებსა და განუვითაროს კვლევის უნარ-ჩვევები, რაც მას საშუალებას მისცემს შეიცნოს და გაითავისოს სამყარო, ჩაერთოს საზოგადოებრივი საქმიანობის სხვადასხვა სფეროში, იგრძნოს პასუხისმგებლობა საკუთარი თავის, საზოგადოებისა და გარემოს მიმართ.

ზოგადი განათლების შესახებ საქართველოს კანონში მუხლი.6 „ზოგადი განათლება“ ვკითხულობთ: „დაუშვებელია მოსწავლის დატოვება ზოგადი განათლების სისტემის მიღმა საბაზო საფეხურის მიღწევის დონის დაძლევაში“. შესაბამისად, სკოლაში მოსწავლეთა მოტივირება არაერთნაირია. სასწავლო პროცესის ეფექტურად წარმართვისათვის კი მოსწავლეთა მოტივაციის ამაღლებას მნიშვნელოვანი როლი აკისრია“.

მიუხედავად მრავალმხრივ გატარებული რეფორმებისა, დღესდღეობით საბუნებისმეტყველო საგნების სწავლება სკოლისათვის მაინც არ არის ძლიერი მხარე და ამ საგნებში მოსწავლეთა მოტივაციის ამაღლება დღემდე არ კარგავს აქტუალურობას, ამიტომაც ჩემთვის პრიორიტეტული იყო სამოქმედო კვლევის საშუალებით შემსწავლა არსებული პრობლემა საბაზო საფეხურზე (მასწავლებლის პროფესიულ სტანდარტში (მუხლი 11. თვითშეფასება და პროფესიულ განვითარებაზე ზრუნვა) ვკითხულობთ: მასწავლებელმა იცის, როგორ შეაფასოს საკუთარი გამოცდილება, განაახლოს პროფესიული ცოდნა და გააუმჯობესოს პროფესიული საქმიანობა. ამ მიზნით: ა) მასწავლებელს შეუძლია კრიტიკულად შეაფასოს საკუთარი სამუშაო გამოცდილება და იზრუნოს მის განვითარებასა და გაუმჯობესებაზე;

ბ) მასწავლებელს შეუძლია საკუთარი პრაქტიკის კვლევა, პედაგოგიური საქმიანობის ეფექტურობის გაზრდის მიზნით;)

წინამდებარე კვლევის ანგარიში ასახავს ჩემ მიერ ჩატარებული სამოქმედო კვლევას, რომელიც ჩავატარე სსიპ ქალაქ ბათუმის მეორე საჯარო სკოლაში. ამ სკოლაში ვმუშაობ 2005 წლიდან ქიმიის მასწავლებლად. კვლევის ჩატარების გადაწყვეტილება მივიღე, რადგან ისევე, როგორც ყველა მასწავლებელს, ასევე ჩემი სურვილი არის, რომ მყავდეს წარმატებული მოსწავლეები. მოსწავლეთა წარმატება კი ფასდება იმით, დაძლიეს თუ არა მათ მოცემულ საგანში დასახული მიზანი.

საკვლევ საკითხს წარმოადგენს „მოსწავლეთა მოტივაციის ამაღლება საბაზო საფეხურზე ქიმიის გაკვეთილზე“. გამომდინარე იქიდან, რომ თითოეული მოსწავლე განსხვავებულად სწავლობს და მათი განწყობაც საგნის სწავლებისადმი სხვადასხვაგვარია, ჩემთვის საინტერესო იყო გამომეკვლია ამ შემთხვევაში რა ქმნის კლასში მოსწავლეთა მოტივაციის ამაღლების პრობლემებს და შემემუშავებინა შესაბამისი ინტერვენციები.

კვლევა მიზნად ისახავდა შესაბამისი მეთოდების გამოყენებით მოსწავლეთა დემოტივაციის გამომწვევი მიზეზების შესწავლას, მისი ამაღლებისათვის საჭირო სტრატეგიების შერჩევას და განხორციელებას, რომელთა შედეგებიც მოსწავლეთა დასახული პრობლემის აღმოფხვრაში დამეხმარებოდა. მიზნად დავისახე სხვადასხვა საშუალებით მოსწავლეები მექცია მოტივირებულ და წარმატებულ მოსწავლეებად, რადგანაც წინა წლებში გავლილი მქონდა მილენიუმის ტრენინგები, ლიდერობის აკადემია, ახალი სკოლის მოდელი, სადაც გავიზიარეთ მრავალი მეთოდი და უნარ-ჩვევა სწავლა/სწავლების პროცესში ეფექტურად გამოყენებისათვის, ჩავთვალე, რომ გარკვეულწილად მზად ვიყავი ასეთ მოსწავლეებთან სამუშაოდ, რაშიც ხელს მიწყობდა მოსწავლეები, სასწავლო პროგრამები და კოლეგები.

კვლევის პროცესში გამოვიყენე როგორც თვისობრივი, ასევე რაოდენობრივი მეთოდები და შესაბამისი ინსტრუმენტები. კოლეგებთან გასაუბრებით გავიზიარე მათი გამოცდილებები და შეხედულებები დასახული პრობლემის მიმართ. ასევე გამოვიყენე ფოკუს-ჯგუფი მოსწავლეებთან, დაკვირვება და გამოკითხვა

საკვლევი საკითხის მიმოხილვა

სასკოლო მოტივაციის პრობლემა თანამედროვე განათლების სისტემის ქვაკუთხედი, ამ პრობლემის კორექციისათვის აუცილებელია პედაგოგების, ადმინისტრაციის, ფსიქოლოგების და მშობლების ერთობლივი ძალისხმევა. სასკოლო პრაქტიკა ხშირად გვიჩვენებს რომ, მოტივაციის პრობლემა აქტუალური ხდება სასკოლო სწავლების, საბაზო და საშუალო საფეხურზე.

დებორას აზრით არამოტივირებული და გულგრილი მოსწავლეების სწავლება პედაგოგებისათვის რთული გამოწვევაა. როგორც ცნობილია, ასეთი მოსწავლეების განწყობა სასწავლო პროცესისადმი უარყოფითია. მეც, ჩემი პედაგოგიური პრაქტიკიდან გამომდინარე დავინტერესდი არამოტივირებული მოსწავლეების სწავლების საკითხით. როგორც ყველა მასწავლებელი, მეც თავი მოვალედ ჩავთვალე, გამოვიყენო ყველანაირი მეთოდი, რათა მოსწავლეები წავახალისო და შესაბამისად, ისინი იყვნენ წარმატებული, თუმცა მწვავე პრობლემას წარმოადგენს, ის, რომ არამოტივირებული მოსწავლეები ხშირად არ გამოხატავენ დაინტერესებას და შედეგად არასასახარბილო აქვთ. ამის აღიარება მეც მიწევს და ამიტომაც დავისახე პედაგოგიური პრაქტიკის კვლევის ჩატარება მერვე კლასის მოსწავლეებთან.

როგორც საერთაშორისო და სახელმწიფო კვლევების შედეგები, ასევე საკუთარი პედაგოგიური პრაქტიკიდან მიღებული შედეგები და კათედრაზე მიღებული კოლეგების მოსაზრებები ცხადყოფს, რომ ეს პრობლემა არსებობს და თუ ის დროულად არ მოვავარეთ, მისი უარყოფითი შედეგები აისახება სწავლების მომდევნო ეტაპზე, რომ მოსწავლეთა უმრავლესობის მოტივაცია საბუნებისმეტყველო საგნებში დაბალია, რაც კლასიდან კლასში გადასვლასთან ერთად უარესდება. ამას ადასტურებს, როგორც კოლეგების შეხედულებები, ასევე მოსწავლეთა წლიური შეფასებები ქიმიაში სხვადასხვა კლასში.

პრობლემის დროულად გამოვლენა და მისი გამოსწორების გზების ძიება სწავლა-სწავლების პროცესისათვის აუცილებლობას წარმოადგენს, რადგან ის უეჭველად აისახება უარყოფითად სწავლების შემდგომ ეტაპებზე. ამიტომ ამ ეტაპზე სწავლა-სწავლების პროცესში არსებული ხარვეზები თუ დროულად არ გამოსწორდა, მაშინ სწავლების შემდგომ საფეხურზე ახალი ცოდნის შექმნის პროცესში ახალი სირთულეები შეიქმნება. მაგალითად, თუ მოსწავლეები თუ მე-8 კლასში კარგად არ შეისწავლიან არაორგანულ ნაერთთა კლასებს, მაშინ მე-9 კლასში ამ ნაერთების თვისებებისა და მიღების ხერხების შესწავლა მათთვის ძალიან რთული აღმოჩნდება. გარდა ამისა, არის მთელი რიგი საკითხები, რომლებიც არის საფუძველი შემდგომ ეტაპზე საგნის კარგად შესასწავლად. სწორედ ამ დროს მინახავს ძალიან ბევრი მოსწავლე, რომლებსაც ხელი ჩაუქნევია ქიმიის სწავლაზე ან აპირებდა საგნის სწავლის შეწყვეტას.

შესაბამისად, ჩემი კვლევის ძირითად ამოცანად განისაზღვრა სასწავლო მასალის გართულების მიუხედავად, სასწავლო პროცესში მოსწავლეთა მოტივაციის გაზრდა და პრობლემის გადაწყვეტის გზების ძიება.

პრობლემის გამომწვევ მრავალ მიზეზთაგან გამოვყოფ შემდეგ ძირითად მიზეზებს

1. მოსწავლეები ნაკლებად არიან ჩართული სწავლა/სწავლების პროცესში;
2. უჭირთ ცნებების, ტერმინების დამახსოვრება, შესწავლა;

3. არ არიან დარწმუნებულნი, რომ საგნის შესწავლას შეძლებენ, აქვთ დაბალი თვითრწმენა, შიში.

4. ვერ ხედავენ საგნის გამოყენების მნიშვნელობას, როგორც სხვა საგნებთან მიმართებაში და სამომავლოდ;

5. საგანი მოსწავლეთა ინტერესს ვერ აღძრავს.

არსებული პრობლემის გადაჭრის მოსაგვარებლად დასახული გზები სარგებლის მომტანი იქნება როგორ მოსწავლის, ასევე სკოლის, მასწავლებლისა და მშობლისთვისაც, კერძოდ:

მოსწავლის სარგებელი ასეთია:

- + მოსწავლეები გააცნობიერებენ კარგად სწავლის აუცილებლობას;
- + გაიზრდება მოსწავლეთა ჩართულობა სწავლა/სწავლების პროცესში;
- + მოსწავლეთა ინტერესების/ცნობისმოყვარეობის სფერო ფართოვდება, შესაბამისად

იზრდება მოსწავლეთა მოტივაცია;

- + დასახავენ სამომავლო გეგმებს (როგორ გამოადგებათ ეს ცოდნა მომავალში?).

ინტერესდებიან არასაგაკვეთილო ღონისძიებებით.

მასწავლებლის სარგებელი ასეთია:

- + კოლეგებთან ერთად დაადგენენ და გამოყოფენ სასწავლო მოტივებს;
- + მოსწავლეებთან და კოლეგებთან დაამყარებენ ეფექტურ კომუნიკაციას;
- + შეიმუშავენ სხვადასხვა საჭირო ტაქტიკას მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების

გასაუმჯობესებლად

- + კვლევის შედეგებს გაუზიარებენ კოლეგებს და ეფექტურად გამოიყენებენ საკუთარ პრაქტიკაში;

- + მიაღწევენ სასურველ მიზანს;

- + სწავლა/ სწავლება გახდება უფრო საინტერესო/სახალისო.

კოლეგების სარგებელი ასეთია:

- + კვლევის შედეგებს გაიზიარებენ კოლეგები და ეფექტურად გამოიყენებენ საკუთარ პრაქტიკაში.

მიზანი

კვლევის მიზანს წარმოადგენს: მოსწავლეებს აუმაღლდებათ მოტივაცია ქიმიის გაკვეთილზე.

კვლევის ძირითადი შეკითხვა არის:

როგორ გავზარდოთ მოსწავლეთა მოტივაცია ქიმიის გაკვეთილზე მე-8 კლასში?

ქვეკითხვები:

როგორ გავუჩინოთ მოსწავლეებს სწავლისადმი ინტერესი?

რა უშლის ხელს მოსწავლეთა ჩართულობას სწავლების პროცესში?

არსებობს თუ არა სკოლის ბაზაზე მოსწავლეთა მოტივაციის ხელშემწყობი ფიზიკური გარემო?

რომელი აქტივობების/სტრატეგიების გამოყენება შეუწყობს ხელს მოსწავლეთა მოტივაციას?

რამდენად შედეგის მომცემია კლასგარეშე აქტივობების გამოყენება მოსწავლეთა მოტივაციის

ასამაღლებლად?

ლიტერატურის მიმოხილვა

მასწავლებლის პროფესიულ სტანდარტში (მუხლი 11. მასწავლებელმა იცის, როგორ შეაფასოს საკუთარი გამოცდილება, განაახლოს პროფესიული ცოდნა და გააუმჯობესოს პროფესიული საქმიანობა) ვკითხულობთ: „მასწავლებელს შეუძლია გააანალიზოს პროფესიული ლიტერატურა და გამოიყენოს ის საკუთარი პედაგოგიური პრაქტიკის შეფასებისა და გაუმჯობესებისათვის“, ამიტომაც გადავწყვიტე გავცნობოდი ლიტერატურას მოსწავლეთა მოტივაციის ამაღლების გზების, მისი გამომწვევი მიზეზების და მოსწავლეებთან წარმატების მისაღწევის ხერხების შესახებ.

სასწავლო პროცესში მოსწავლეთა მოტივაციის ამაღლება ყოველთვის იყო და არის სკოლის მასწავლებელთა ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პრობლემა, ამიტომაც მასზე ზრუნვა სასკოლო საზოგადოებას ყოველთვის მოეთხოვება. წლების განმავლობაში დაგროვდა გამოცდილება: ჩატარდა სხვადასხვა კვლევა, ფსიქოლოგებმა, პედაგოგებმა და თეორეტიკოსებმა შეისწავლეს დემოტივაციის გამომწვევი მიზეზები და მოტივაციის ამაღლების გზები.

პრაქტიკის კვლევის განსახორციელებლად, საბუნებისმეტყველო საგნებში ჩატარებულ სხვადასხვა კვლევების შედეგების გასაცნობად, პირველ რიგში გავცანი „სახელმწიფო და საერთაშორისო შეფასება: სასკოლო განათლების ძირითადი გამოწვევებ“-ს (<http://naec.ge/post/1603>) 2019. ჩატარებული კვლევები უკავშირდება სასწავლო შედეგებს და იმ დინამიკას და ფაქტორებს, რომლებიც გავლენას ახდენს მოსწავლეთა მიღწევებზე.

TIMSS-ის 2019 წლის შედეგებით ვლინდება, რომ კვლევის წინა ციკლთან მიმართებით საქართველოს ქულა უმნიშვნელოდ გაზრდილია, თუმცა ეს ზრდა სტატისტიკურად მნიშვნელოვან პროგრესზე არ ვლინდება.

PISA 2022-ის მონაცემებით საქართველოს 15 წლის მოსწავლეების მიღწევები საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში მნიშვნელოვნად არ შეცვლილა 2018 წელთან შედარებით. PISA 2022-ის მიხედვით, საქართველოს 15 წლის მოსწავლეებს საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში 374 (OECD-ის საშუალო 476) და 384 (OECD-ის საშუალო 485) ქულა აქვთ.

კვლევის შედეგების შესახებ სახელმწიფო შეფასება აჩვენებს, რომ ქიმიაში 49,1 % სასწავლო გეგმით გათვალისწინებული მოთხოვნების დაძლევის მინიმალურ დონეზე ვერ ახერხებს.

კვლევებით ასევე დგინდება, რომ საჯარო სკოლების მოსწავლეთა მიწევები ბუნებისმეტყველებაში მნიშვნელოვნად ჩამორჩება კერძო სკოლების თანატოლების მიღწევებს.

ერთ-ერთი მთავარი ლიტერატურა, რომელიც მნიშვნელოვნად დამეხმარა კვლევის განხორციელებისათვის, გახლდათ ანიტა ვულფოლკის „განათლების ფსიქოლოგია“, რომელშიც დაწვრილებით არის აღწერილი შემდეგი საკითხები: რა არის შინაგანი და გარეგანი მოტივაცია; როგორ არის განხილული მოტივაცია ბიჰევიორისტულ, ჰუმანისტურ, კოგნიტურ და სოციალურ-კულტურულ თეორიებში; რა გავლენა შეიძლება ჰქონდეს მოტივაციას წარმატებაზე, მარცხზე; რა როლს ასრულებს მოტივაციაში მიზნები, ინტერესები, ემოციები და საკუთარი შესაძლებლობების რწმენა; რომელი სტრატეგიების გამოყენება გაზრდის მოსწავლის მოტივაციას. ამავე ლიტერატურაში კითხვაზე თუ რატომ ხდება სწავლის მოტივაციაზე ზრუნვა? ვკითხულობთ იერე ბროფის მიერ ჩამოთვლილ კომპონენტებს: გაკვეთილებზე იძულებითი დასწრება; სასწავლო აქტივობების შერჩევა საზოგადოების შეკვეთის და არა მოსწავლეთა არჩევანის

საფუძველზე; კლასში მასწავლებლები მუშაობენ 20-ზე მეტ ბავშვთან, რაც ხელს უშლის თითოეული მოსწავლის მოთხოვნილებების გათვალისწინებას; მოსწავლეებს სისტემატიურად აფასებენ და მშობლებს აცნობენ მათი შვილების სწავლის თაობაზე; მასწავლებლები და მოსწავლეები ყოველდღიური ერთფეროვნების მონაწილეები არიან (Gaedke &Shaughnessy,2003,გვ.206-207).

მრავალი პედაგოგის აზრით, მოსწავლეთა მოტივირება პედაგოგიკაში ერთ-ერთი კრიტიკული საკითხია. მას ასე განმარტავენ: „მოტივაცია ესაა შინაგანი მდგომარეობა, რომელიც აღძრავს, წარმართავს და უზრუნველყოფს ქცევას. მოტივაციის შემსწავლელი ფსიქოლოგები აქცენტს ხუთ ძირითად საკითხზე აკეთებენ: არჩევანის გაკეთება საკუთარ ქცევასთან დაკავშირებით; დრო მოტივაციის ამოქმედებისათვის; ჩართულობის ხარისხი და ინტენსივობა; ფაქტორები, იმისა, რომ ინდივიდი იყოს შეუპოვარი ან ადვილად დანებდეს; გრძნობები და ფიქრი ინდივიდისა, როცა ქცევას ახორციელებს.

აქედან გამომდინარე, მოტივაციის კლასიკურად ასე ყოფენ: **შინაგანი და გარეგანი მოტივაცია.**

მოტივაციის ზოგიერთი განმარტება ეყრდნობა შინაგან, პიროვნულ ფაქტორებს, როგორებიცაა მოთხოვნილება, ინტერესი, ცნობისმოყვარეობა სა ა.შ. ასევე გარეგან ფაქტორებს, როგორებიცაა: ჯილდო, სოციალური ზეწოლა, დასჯა და სხვა.

შინაგანად მოტივირებული მოზარდები უფრო მეტი პასუხისმგებლობით ეკიდებიან სწავლას, ხასიათდებიან თვითრეგულაციის მაღალი უნარით. როდესაც ინდივიდი შინაგანად მოტივირებულია, მას არ სჭირდება წახალისება ან დასჯა, რადგანაც თვითონ აქტივობა ჯილდოს ტოლფასია. არსებობს ამის საპირისპირო შემთხვევა, როცა რაღაცას სხვა მიზნებისთვის (კარგი ნიშანი, დასჯის თავიდან აცილება, მასწავლებლის სიამოვნება და სხვა.) ვაკეთებთ. ეს კი გარეგანი მოტივაციაა, რომლის დროსაც ქცევა ხორციელდება არა იმიტომ, რომ ის გვანტერესებს, არამედ ის რა შედეგს მოიტანს. გარეგანად მოტივირებული მოზარდები ხასიათდებიან სირთულისა და რისკის მიმართ მკაფიოდ გამოხატული შიშით.

ფსიქოლოგები, რომლებიც იზიარებენ შინაგანი და გარეგანი მოტივაციის დაყოფის კონცეფციას, ასევე ამბობენ, რომ ზოგჯერ ერთი შეხედვით შეუძლებელია განვასხვაოთ მოტივაცია შინაგანია თუ გარეგანი. ზოგჯერ პიროვნება თავისუფალ არჩევანს აკეთებს არა პიროვნული ინტერესების გათვალისწინებით, არამედ ან ასე იმიტომ იქცევა, რომ გარედან ვიღაცის ან რაღაცის გავლენის ქვეშა (Reeve1996 Bonck,C.J,&lee,M.M.2017:36-57). ასევე საკამათო გახდა საკითხი მოტივაციის შინაგანი და გარეგანი მოტივაციის როგორც კონტინუუმის საწყისი და საბოლოო წერტილების შესახებ, რომლის ალტერნატიული ახსნა ასეთია: რამდენადაც მოტივაცია მოიცავს, როგორც პიროვნული ნიშნის, ასევე გარემოს ფაქტორებს, ის ასევე შეიძლება მოიცავდეს, როგორც შინაგან, ასევე გარეგან ფაქტორებსაც. ეს არის ორი დამოუკიდებელი შესაძლებლობა, რომლებითაც მოტივირებული შეიძლება ვიყოთ დროის ნებისმიერ მონაკვეთში (Covington & Mueller, 2011:17).ამიტომაც, მაშინ, როცა მასწავლებელი დარწმუნებულია, რომ გარეგანი მოტივაცია რთულია და მუშაობს სწავლების მომენტში, მან უნდა იზრუნოს, რომ მოსწავლეებს გაუჩინოს და შეუნარჩუნოს შინაგანი მოტივაცია (Brophi,1988, 2003; Deci, Koestner & Ryan, 1999; Ryan & Deci, 1966:25,68-81).

დიმიტრი უზნაძის მოსაზრებით, მხოლოდ კარგი ნიშნის, შექების, მატერიალური ინტერესებით გარეგანი მოტივაციით განხორციელებული სასწავლო აქტივობა ინდივიდისათვის არაფრის მომტანია. ინდივიდის სასწავლო აქტივობები განპირობებული უნდა იყოს შინაგანიც მოტივაციით.

ბიჰევიორისტული მიდგომა მოტივაციისადმი

ბიჰევიორისტული მიდგომის მიხედვით მოზარდის მოტივაციის გაგება იწყება წამახალისებელი სტიმულებისა და ჯილდოების ანალიზით. თუ მოზარდს მუდმივად წახალისებენ კონკრეტული ქცევის გამო, გარკვეული ტიპის ქცევა ჩამოუყალიბდება. ასევე მათი აზრით მოტივაციისათვის მნიშვნელოვანია შექება, რომელიც უნდა იყოს კონკრეტული და გულწრფელი. ბიჰევიორისტების აზრით, პედაგოგმა უარი არ უნდა თქვას ისეთ გარეგან განმტკიცებაზე, რომელიც იძლევა კარგ შედეგს, თუმცა ის გამოყენებულ უნდა იქნეს ზომიერად და ყურადღება მიექცეს შინაგანი მოტივაციის ფორმირებასაც.

ჰუმანისტური მიდგომა მოტივაციისადმი

ჰუმანისტური მოტივაციის მომხრეები და მათ შორის კარლ როჯერსი მეოცე საუკუნის ოციან წლებში ამბობდნენ, რომ, ფსიქოლოგიის ვერცერთი დომინანტური სკოლა (მათ შორის ბიჰევიორისტული) ადეკვატურად ვერ ხსნიდა ადამიანის ქცევას. მოტივაციის ჰუმანისტური ინტერპრეტაცია ხაზს უსვამს მოტივაციის ისეთ შინაგან წყაროებს, როგორებიცაა პიროვნების თვითაქტუალიზაციის მოთხოვნილება(მასლოუ) და თვითრეალიზაციის ტენდენცია (როჯერსი). ჰუმანისტური განათლების მიზნებია: კრიტიკული აზროვნების განვითარება; ორიენტაცია პიროვნებაზე; პედაგოგსა და მოზარდს შორის თანამშრომლობა.

კარლ როჯერსის თეორია. როჯერსი აღნიშნავს, რომ: „კი არ ასწავლო, არამედ ხელი შეუწყო სწავლას“. როჯერსის აზრით, იმისათვის, რომ ადამიანები პიროვნულად გაიზარდონ, შემდეგი სამი პირობაა მნიშვნელოვანი: გულწრფელობა, კეთილგანწყობილი დამოკიდებულება და ემპათია. ადამიანი სრულად არის ჩართული სწავლა-სწავლების პროცესში; მოზარდი მუდმივად აფასებს საკუთარ თავს, რაც მისი პროგრესისა და შეფასების ძირითადი მეთოდია; საჭიროა ახალი მიდგომებისა და პერსპექტივების მოძებნა რაც გამოიწვევს სწავლისადმი მოტივირებას.

აბრაამ მასლოუს მოთხოვნილებათა იერარქია.

აბრაამ მასლოუ კი ვარაუდობდა, რომ ადამიანებს გააჩნიათ მოთხოვნილებათა იერარქია დაბალიდან (უსაფრთხოება), მაღალამდე (თვითაქტუალიზაცია). მასლოუს თქმით, თვითაქტუალიზაცია თვითრეალიზაციას ნიშნავს. ინდივიდი სანამ მოთხოვნილებათა შემდეგ საფეხურზე გადავა, დაკმაყოფილებულ უნდა იქნეს უფრო დაბალი რანგის მოთხოვნილებები. მასლოუმ ადამიანის მოთხოვნილებათა კლასიფიკაცია იერარქიული სისტემის სახით, გამოსახა პირამიდას ფორმით. პირამიდის ძირში ფიზიოლოგიური მოთხოვნილებებია, ხოლო უმაღლეს დონეზე-თვითაქტუალიზაციის მოთხოვნილება. თუ პირამიდაში ყველა პირობა დაცულია, მაშინ ადამიანი აღწევს განვითარების პიკს, ავლენს თავის შესაძლებლობებს და არის თვითრეალიზებული.

მიუხედავად მრავალმხრივი კრიტიკისა, მასლოუს თეორია იძლევა საშუალებას მთლიანობაში აღვიქვათ მოსწავლე, რომლის ფიზიკური, ემოციური და ინტელექტუალური მოთხოვნილებებიც ურთიერთემოქმედებენ.

მოტივაციისადმი კოგნიტური და სოციოკოგნიტური მიდგომა

მოტივაციისადმი ასევე არსებობს კოგნიტური და სოციოკოგნიტური მიდგომა. კოგნიტური თეორიტიკოსები ძირითად ყურადღებას შინაგან მოტივაციაზე ამახვილებენ. ეს თეორიები ბიჰევიორისტული შეხედულებების საპასუხოდ განვითარდა. კოგნიტივისტების შეხედულებით, „ქცევა აზროვნებით არის განპირობებული და არა იმ

ფაქტორით, წარსულში ამ ქცევისთვის დაგვსაჯეს თუ დაგვაჯილდოვეს“ (Stippe,2002,გვ:755). ქცევა წამოწყებული და რეგულირებულია გეგმების (Miller, Calanter & Pribram, 1960), მიზნების, მოლოდინის (Vroom,1964) მიერ.

მოლოდინების X ღირებულებების თეორია-ეს თეორიები, ითვალისწინებენ, როგორც ბიჰევიორისტების აქცენტებს ქცევის გავლენებისადა შედეგების შესახებ, ასევე კოგნიტივისტების ინტერესს ინდივიდისაზროვნების გავლენის მიმართ. ამთეორიებში ქცევა აღქმულია, როგორც მიზნის მიღწევის მოლოდინისა და ამ მიზნის ღირებულების პროდუქტი და თუ ეს ორი ფაქტორი ნულის ტოლი იქნება, მაშინ ,მოტივაცია არ იარსებებს.

ქაკლინ ეკლსა და ალან ვიგფილდს შემოაქვთ **დანახარჯის** ცნება. „ღირებულებები განხილული უნდა იყოს იმ კონტექსტში, რა ჯდება მისი აღსრულება, რა ენერგია იხარჯება, კიდევ რისი გაცემა შეიძლება ამის ნაცვლად, რა რისკი არსებობს მარცხის შემთხვევაში, ადამიანი სულელად ხომ არ გამოჩნდება?“ (Eccles&Wigfield, 2001;Eccles&Wigfield,1992)

მოტივაციისადმი სოციოკულტურული კონცეფციები

მოტივაციისადმი სოციოკულტურული შეხედულება კი განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს ერთობის წევრობას. მათი აზრით, თუ მოსწავლეები არიან წევრები იმ საკლასო ან სასკოლო ჯგუფისა, რომლისთვისაც სწავლას მნიშვნელოვანი ღირებულება აქვს, მაშინ ისინი უფრო მოტივირებულნი არიან კარგად სწავლისათვის. ისინი მოტივირებულნი არიან, ისწავლონ და შეითვისონ ჯგუფის ღირებულებები და გამოცდილება, რათა ჯგუფის ნამდვილ წევრებად იგრძნონ თავი. ზოგიერთი კლასი ჩამოყალიბებულია, როგორც საკლასო ერთობა მაგალითად, ბრაუნმა და ქამპიონმა (1996) ჩამოაყალიბეს სასწავლო ერთობები საკლასო ერთობები საშუალო სკოლებში, რომლებიც ემსახურებოდა მოსწავლეებს შორის თანამშრომლობითი ურთიერთობის წარმოქმნას სხვადასხვა საკითხის ირგვლივ. ამ დროს მნიშვნელოვანია იმის გათვალისწინება, რომ დარწმუნებული ვიყოთ, რომ ყველა მოსწავლე ერთობის წევრია. ამ მოსაზრებას დანიელ პიკი (2003) ასე აყალიბებს: ჩართულობა არის „მნიშვნელოვანი მონაწილეობა კონტექსტში, სადა უნდა მიიღო ცოდნა, რომელიც ღირებული და გამოყენებადია.

ყველა ზემოთ განხილული თეორია ერთმანეთისგან განსხვავდება კითხვაზე: „რა არის მოტივაცია“? იმისათვის, რომ ზემოთხსენებული იდეების გამოყენება სწავლების პროცესში გაადვილდეს, ყურადღება უნდა გამახვილდეს შემდეგ მიდგომებზე: მოთხოვნილებებზე, მიზნებზე, ინტერესებსა და ემოციებზე (Murphy & Alexander, 2000).

რაც შეეხება თუ რა გავლენა აქვს მოტივაციაზე ემოციებს და თვითრწმენას განათლების ფსიქოლოგიაში იკითხება: **მიზნობრივი ორიენტაციები** და მიზანი.

„მიზანი არის შედეგი ან მონაპოვარი, რომლის შესრულებასაც ესწრაფვის ინდივიდი“(Locke & Latham.2002,გვ:795). მიზნობრივი ორიენტაცია კი რწმენის ის ფორმაა, რომლითაც ჩვენ ვაფასებთ მიზნებისაკენ წინსვლას. არსებობს ოთხი მიზნობრივი ორიენტაცია დაოსტატების მიღწევის ამოცანაში ჩართული მოსწავლეების პრეზენტაციის და ეგოჩართული მოსწავლეების.

ინტერესები და ემოციები. დღეს მკვლევარები ხაზს უსვამენ იმ ფაქტს, რომ მოსწავლეები უფრო მეტ ყურადღებას აქცევენ, სწავლობენ და იმახსოვრებენ იმ მოვლენებს, რომლებიც იწვევს ემოციურ რეაქციებს (Alexander & Murphy, 1998; Cowley % Underwood, 1998; Reisberg & Heurer 1992,გვ:213) ან დაკავშირებულია მათ ინტერესებთან (Renninger, Hidi & Krapp 1992) ინტერესების გაღვივება და შენარჩუნება საკმაოდ ეფექტურია აკადემიური საქმიანობისათვის. ხშირად რთულია საგანი ყველა მოსწავლის ინტერესებზე იყოს მორგებული. აქ უკვე მხოლოდ ის კი არაა საკმარისი, რომ მოსწავლეებში ინტერესები აღძრათ არამედ უნდა შეინარჩუნოთ კიდევ (Pintrich, 2003,გვ:908).

შფოთვა -ზოგადი მოუსვენრობა, დაძაბულობის განცდა. „ამ თემასთან დაკავშირებული ყველა შრომაში, იერკსისა და დოსრონის ყველაზე ადრეული(1908) შრომიდან მოყოლებული, დღევანდელ დღემდე მკვლევარები სულ მიუთითებენ სასკოლო მიღწევების ყველა ასპექტსა და შფოთვას უარყოფით კორელაციაზე“(Covington 1992, Zeidner 1998), შფოთის მქონე მოსწავლეები, იმის მაგივრად, რომ კონცენტრირება მოახდინონ ახალ მასალაზე, ყურადღებას თმობენ საკუთარ გრძობებს და ხშირად ფიქრობენ: „როგორი დაძაბული ვარ, მე ამას ვერასოდეს გავიგებ“. „დასაწყისში შფოთიან მოსწავლეს შეიძლება ყურადღების მიღმა დარჩეს მნიშვნელოვანი ინფორმაცია, ომლის სწავლაც უწევს, რადგან მისი ყურადღება საკუთარ განცდებზეა ფოკუსირებული“(Gassadi & Johnson,2002; Paulman & Kennelly,1984).

კვლევის სამიზნე ჯგუფი

მე-8 ა, მე-8 გ მე-9 დ, მე-9 გ, კლასის მოსწავლეები

კვლევის გეგმა და ვადები

სამოქმედო კვლევა ვაწარმოე 2023-2024 სასწავლო წელს. დროის გეგმა იხილეთ დანართი-3-ის სახით.

კვლევის მეთოდები და ინსტრუმენტები

მონაცემთა შეგროვება განვახორციელებ შემდეგი თვისობრივი და რაოდენობრივი მეთოდების გამოყენებით, რომლისთვისაც შევარჩიე შემდეგი ინსტრუმენტები:

✚ ფოკუს- ჯგუფი. ეს არის ჯგუფური ინტერვიუს მეთოდი, რომლის დროსაც ერთდროულად რამდენიმე რესპოდენტს ვესაუბრები, რათა ხელი შევუწყო მათ შორის აზრთა გაცვლას. სხვა მეთოდებთან შედარებით, ამ მეთოდის გამოყენება ნაკლებ დროს და რესურსს მოითხოვს. ამ დროს წარმოქმნილი დისკუსიების შედეგად უფრო ნათლად ჩანს მოსწავლეთა დამოკიდებულება და ემოციური განწყობა დასახული პრობლემისადმი.

✚ დაკვირვება. დაკვირვება მიმართულია იმ მნიშვნელოვანი ინფორმაციის მისაღებად, რომელიც საჭიროა კვლევის მიზანმიმართულად განსახორციელებლად. დაკვირვების დღიურის გამოყენებით ხდება ჩვეულებრივი სიტუაციების დაფიქსირება. ამ მეთოდის უპირატესობა ის არის, რომ მოსწავლეთა (ინდივიდები, ჯგუფები) ქმედებების დაფიქსირება ხდება მათი განხორციელების დროს.

✚ გამოკითხვა. გამოკითხვის საშუალებით შესაძლებელია მოსწავლეების ინტერესების, დამოკიდებულებების, სწავლის პროცესში გამოვლენილი სირთულეების გარკვევა. ასევე შეიძლება დადგინდეს, რამდენად ადექვატურად აღიქვამს მოსწავლე პრობლემას.

კვლევის მონაცემთა ანალიზი:

ეტაპი-I . ფოკუს ჯგუფი მოსწავლეებთან

მას შემდეგ, რაც გადაწყვეტილება მივიღე ჩამეტარებინა სამოქმედო კვლევა ზემოთხსენებულ თემაზე, მოვაწყვე გასაუბრება საბუნებისმეტყველო საგნის მოსწავლეებთან (მასწ. პროფ. სტანდარტი.მუხლი.10.მოსწავლეები თანამშრომლობს კოლეგებთან მოსწავლეთა სწავლის გასაუმჯობესებლად და აღზრდასთან დაკავშირებული საკითხების გადასაწყვეტად), გასაუბრების შემდეგ, მოვაწყვე მოსწავლეებთან ფოკუს-ჯგუფი. ფოკუს-ჯგუფის

მთავარი მიზანი იყო დამედგინა თუ რა იწვევს მოსწავლეთა ნეგატიურ განწყობას საგნის მიმართ, რა მოლოდინები აქვთ სწავლა/სწავლების პროცესში და სამომავლოდ, რამდენად მნიშვნელოვანია საგნის შესწავლა მათთვის. მსჯელობა წარიმართა დისკუსიის სახით, მოსწავლეები თავისუფლად გამოთქვამდნენ თავიანთ მოსაზრებებს. მოსწავლეები შეირჩა მიზნობრივად. მონაწილეობა მიიღო 20 მოსწავლემ (10 გოგონა და 10 ვაჟი). კითხვები წინასწარ მქონდა შედგენილი, თუმცა დისკუსიის მომენტში თავი იჩინა რამდენიმე ახალმა კითხვებმაც. ვახდენდი მოსწავლეების მიერ გამოთქმული თითოეული მოსაზრების ჩაწერას.

პირველი კითხვის დასმისთანავე, „თუ როგორია თქვენი განწყობა დამოკიდებულება ამ საგნის მიმართ?“

მოსწავლეებმა დაიწყეს გულწრფელად საუბარი. კერძოდ მათი თქმით:

- „სიმართლე გითხრათ ძალიან მეშინია, რადგან მგონია, რომ ვერ შევძლებ ამის სწავლას“;
- „ვფიქრობ, რთული საკითხები იქნება და მათი ათვისება გამიჭირდება“;
- „ნიშნის გამო იძულებული ვარ ვისწავლო“;
- „მინდა ვისწავლო, მგონია ქიმიაში ბევრ ცდას ჩავატარებთ“;
- „არანაირი დამოკიდებულება და განწყობა არ მაქვს“;
- „თუ მაღალი კლასის მოსწავლეებს მოვუსმენთ ქიმია ერთ-ერთი ყველაზე რთული საგანია, მაგრამ

ისიც არის შესაძლებელი, რომ გამიადვილდეს საგნის სწავლება“;

▪ „სწავლა მსურს, მაგრამ ვფიქრობ ბოლო თვეებში, როგორც ყოველთვის გადავიღლები და სწავლას მოვუკლებ“;

შემდეგ შეკითხვაზე „როგორ გგონიათ გაგიძნელებათ საგნის შესწავლა?“. მოსწავლეთა პასუხები

ძირითადად ასეთია:

- „როცა სურვილი არ მაქვს, არ გამიადვილდება“;
- „არ ვიცი გამიადვილდება თუ არა“
- „არა იმიტომ, რომ სახელმძღვანელოში ბევრი ფორმულა დავინახე“;
- „თუ არ ვიზარმაცებ, რა თქმა უნდა გამიადვილდება“;
- „ქიმიის წიგნს, რომ ვუყურებ, ვფიქრობ ვერაფერს გავიგებ“;

ასევე შეკითხვაზე „რას ფიქრობენ სამომავლოდ, რამდენად მნიშვნელოვანი იქნება ამ საგნის შესწავლა თქვენთვის“, მოსწავლეთა პასუხები ძირითადად ასეთია:

- „ვფიქრობ, კარგად ვისწავლი საგანს და შევძლებ სხვადასხვა ცდის ჩატარებას“;
- „ვფიქრობ, არცერთი პროფესიის არჩევაში არ დამეხმარება“;
- „მგონია, რომ ცხოვრებაში გამომადგება“;
- „გამოცდას ჩავაბარებ“;
- „გარკვეულ პიროვნებებს გამოადგება, მაგრამ მე არა“;
- „ჩემი მომავალი პროფესიისათვის ეს საგანი მნიშვნელოვანია, ასე რომ, ყველაფერს დადებთ“.

ფოკუს-ჯგუფმა აჩვენა, რომ მოსწავლეთა ნაწილს დადებითი განწყობა აქვთ საგნის სწავლებისადმი,

მოლოდინები მაღალი აქვთ და სამომავლოდაც ხედავენ მისი გამოყენების მნიშვნელობას. მოსწავლეთა უმრავლესობა ითვალისწინებს რა სხვების აზრებს, წიგნისა და საგნის სირთულეს სამომავლოდ ვერ ხედავს საგნის გამოყენების პერსპექტივას, შედეგად იკვეთება, რომ მოსწავლეებს უჩნდებათ წინასწარი შიში საგნის სწავლისადმი, აქვთ დაბალი თვითრწმენა და საგნისადმი არაპოზიტიური დამოკიდებულება.

ეტაპი-II. დაკვირვება-ინფორმაციის შეგროვების თვისებრივი მეთოდი-დაკვირვება.

როდესაც უკვე მოსწავლეებთან მოვაწყვე ფოკუს-ჯგუფი, რის შედეგადაც მივიღე ინფორმაცია მათი დამოკიდებულებებისა და განწყობის შესახებ საგნის მიმართ, გადავწყვიტე სწავლა/სწავლების პროცესში მერვე კლასზე დაკვირვება.

დაკვირვების მიზანს წარმოადგენდა მოსწავლეების ჩართულობაზე დაკვირვება სწავლა/სწავლების პროცესში.

დაკვირვების საწყის ეტაპზე **აღწერიითი** დაკვირვების მეთოდის გამოყენებით გადავწყვიტე შემესწავლა მოსწავლეთა მზაობა და მათი დამოკიდებულებები გაკვეთილზე სხვადასხვა აქტივობების დროს. დაკვირვება ხორცილდებოდა, როგორც ინდივიდუალურად, ასევე მოსწავლეთა ჯგუფებზე. დაკვირვების შედეგები ჩაინიშნებოდა დაკვირვების დღიურებში, მოკლე ჩანაწერების სახით. ჩანაწერების გაკეთების დროს განსაკუთრებულ ყურადღებას ვაქცევდი მოსწავლეთა მოტივაციას, ჩართულობას, აქტიურობას, თვითშეფასებას, უკუკავშირს და სხვა.

განსაკუთრებულად საყურადღებო იყო ის ფაქტები, რომლებიც ჯგუფური მუშაობის დროს შევნიშნე. ჯგუფში ძირითადად მუშაობდა 2-3 მოსწავლე, დანარჩენები კი მაყურებლის როლში იყვნენ. ამით გამოიკვეთა, რომ მოსწავლეთა უმრავლესობა ჯგუფურ მუშაობაში არ მონაწილეობდა, ძირითადად ლიდერი აქტიურობდა.

რაც შეეხება მოსწავლეთა აქტიურობას სწავლა/სწავლების პროცესში, დაკვირვების გამოიკვეთა, რომ მოსწავლეთა უმრავლესობა სასურველი ქულის მიღების შემდეგ აღარ აქტიურობდა, რადგან ისინი ფიქრობდნენ, რომ რადგანაც ქულა უკვე აქვთ, მასწავლებელი გარკვეული დროის მანძილზე აღარ გამოიძახებს, ამას ადასტურებდა გამოძახების შემთხვევაში მათ მიერ გაცემული პასუხები „ მე ქულა მაქვს“. ეს კი თავის მხრივ მიუთითებს იმ ფაქტზე, რომ მოსწავლეთა უმრავლესობისათვის მნიშვნელოვანია დადებითი ქულა და არა საკითხის მნიშვნელოვნად შესწავლა, გაგება/გააზრება.

ჩატარებული დაკვირვების შედეგების საფუძველზე დაყრდნობით გამოიკვეთა, რომ მოსწავლეთა უმრავლესობა ნაკლებად იყო ჩართული სწავლა/სწავლების პროცესში: მათთვის მნიშვნელოვანია დადებითი ქულა და არა საკითხის მნიშვნელოვნად შესწავლა, გაგება/გააზრება.

ფოკუსირებულმა დაკვირვებამ მომცა საშუალება, დამენახა, განმავითარებელი შეფასების ინსტრუმენტების შემოტანა რამდენად ზრდის მოსწავლეთა მოტივაციას, გამენალიზებინა მოსწავლეთა შესაძლებლობები და ინტერესები. აგრეთვე მეძლეოდა საშუალება, დაუყონებლივ გამეცა კონსტრუქციული უკუკავშირი, რაც წახალისებას მატებდა მათ მუშაობას.


ეტაპი-III. გამოკითხვა

მას შემდეგ, რაც შევქმენი მოსწავლეებთან ფოკუს-ჯგუფი და დაკვირვება, გადავწყვიტე, მოსწავლეებისათვის ჩამეტარებინა გამოკითხვა. გამოკითხვის მიზანს წარმოადგენდა, დამედგინა ჩემ მიერ დასახულ პრობლემასთან დაკავშირებით მოსწავლეთა წარმოდგენები როგორია, რაც საშუალებას მომცემდა, განმეხორციელებინა შესაბამისი ღონისძიებები მათი ინტერესების, საჭიროებების და შესაძლებლობების გათვალისწინებით. გამოკითხვა მოიცავდა 12 კითხვას, აქედან კითხვათა უმრავლესობა იყო ღია ტიპის (7-ღია და 5-დახურული). დახურულ კითხვებზე პასუხები წარმოდგენილია დიაგრამების, ხოლო ღია კითხვების პასუხები ანალიზის სახით.

მოსწავლეებს ვთხოვე, ეპასუხათ შემდეგ შეკითხვებზე:

1. მოგწონთ თუ არა საგანი?


მოგწონთ თუ არა საგანი?



კითხვაზე, მოსწავლეებს მოსწონთ თუ არა საგანი, გამოკითხულთა 43% ამბობს, რომ მოსწონს საგანი, 28%-ს არ მოსწონს საგანი, ხოლო 29%-ს ნაწილობრივ მოწონს საგანი.


2. გიქმნით თუ არა სირთულეს სწავლაში, ტექსტში მოცემული ცნებები და ტერმინები?

ტიქსტში მოცემული ცნებები და ტერმინები გიქმნით თუ არა სირთულეს სწავლაში?




კითხვაზე, გიქმნით თუ არა სირთულეს სწავლაში, ტექსტში მოცემული ცნებები და ტერმინები, გამოკითხულთა 47%-ის პასუხი დადებითია, 22%-ს არ უქმნის, ხოლო 31%-ს ნაწილობრივ უქმნის.

3. ხართ თუ არა ჩართული საგაკვეთილო პროცესში?



კითხვაზე, ხართ თუ არა ჩართული საგაკვეთილო პროცესში, გამოკითხულთა 33% ამბობს, რომ ჩართულია, ხოლო 36% არაა ჩართული, ხოლო ნაწილობრივ ჩართულია 31%.

4. საგნის სწავლება შეუწყობს თუ არა ხელს თქვენი მომავალი პროფესიის




არჩევას?

კითხვაზე, საგნის სწავლება შეუწყობს თუ არა ხელს თქვენი მომავალი პროფესიის არჩევას, გამოკითხულთა 4% დადებითად პასუხობს, 87% ამბობს, რომ არ შეუწყობს, ხოლო 9% ამბობს, რომ ნაწილობრივ შეუწყობს.

5. გამოიყენებთ თუ არა ქიმიაში მიღებულ ცოდნას სხვა საგნის სწავლებისას?

გამოიყენებთ თუ არა ქიმიაში მიღებულ ცოდნას სხვა საგნის სწავლებისას?



კითხვაზე, გამოიყენებთ თუ არა ქიმიაში მიღებულ ცოდნას სხვა საგნის სწავლებისას, გამოკითხულთა 27% ამბობს, რომ გამოიყენებს, 41% ამბობს არას, ხოლო 32% ფიქრობს, რომ ნაწილობრივ გამოიყენებს.

6.რა აამაღლებს თქვენს ინტერესს საგნის სწავლებისადმი?

მოსწავლეთა მიერ გაცემული პასუხების გაანალიზებიდან ნათლად ჩანს, რომ უმრავლესობისათვის საგნის სწავლებას საინტერესოს გახდის ექსპერიმენტების ჩატარება. მოსწავლეთა პასუხები ძირითადად ამ შინაარსის არის: „ძალიან მაინტერესებს ცდების ჩატარება.“

7.რა უფრო მნიშვნელოვანია თქვენთვის ნიშნები თუ ცოდნა და რატომ?

მოსწავლეთა მიერ გაცემული პასუხების გაანალიზებიდან ნათლად ჩანს, რომ მათი უმრავლესობა ნიშანს ანიჭებს უპირატესობას, რადგან ფიქრობს, რომ ამით მას მეტი პრესტიჟი აქვს სკოლაში ოჯახში და, საერთოდ, საზოგადოებაში. „ჩემთვის მნიშვნელოვანია, ნიშანი მქონდეს ნორმალური, რადგან ვიცი, რომ ქიმია რთულია და მას ვერასოდეს ვისწავლი“.

8.როგორ ფიქრობთ, კლასგარეშე დამატებითი აქტივობები აამაღლებს თუ არა თქვენს ინტერესს საგნისადმი?

მოსწავლეთა მიერ გაცემული პასუხების ანალიზი გვიჩვენებს, რომ მოსწავლეთა უმრავლესობისათვის ისეთი აქტივობები, როგორებიც არის ექსკურსიები, რომელიმე სკოლის ან უნივერსიტეტის ლაბორატორიების ნახვა და სხვა, აამაღლებს მათი მოტივაციის დონეს. მათთვის მომაბეზრებელია ერთი ტიპის გაკვეთილები, სურთ დაინახონ რაღაც ახალი, რაც აქამდე არ უნახავთ.

9. როგორ ფიქრობთ გამოგვადგება თუ არა ქიმიაში მიღებული ცოდნა ყოველდღიურ ცხოვრებაში და რატომ?

მოსწავლეთა მიერ გაცემული პასუხების გაანალიზებისას ნათლად ჩანს, რომ ბევრი მოსწავლე ფიქრობს მის აუცილებლობაზე, მაგალითად, იცის, რომ წამლები აუცილებელია და ის ქიმიურია. მოსწავლეთა უმრავლესობა ვერ ხედავს ყოველდღიურ ცხოვრებაში მისი გამოყენების აუცილებლობას, რადგან ფიქრობენ რომ რაც უფრო ნაკლები შეხება ექნებათ „ქიმიასთან“, უკეთესი იქნება მათი ყოველდღიურობა. ერთ-ერთი მოსწავლე წერდა „ოჯახში

ხშირად მესმის ფრაზები: „ეს ხიშიაა, არ დალიო, არ შეჭამო და ა.შ. ამიტომაც ვფიქრობ, მის გარეშე უფრო ჯანმრთელები ვიქნებით“.

10. როგორ აგრძელებთ სწავლის პროცესს კარგი ნიშნის მიღების შემდეგ?

მოსწავლეთა მიერ გაცემული პასუხებიდან ნათლად ჩანს, რომ ზოგიერთი მოსწავლე აგრძელებს მასალის მზადებას შემდეგი გაკვეთილისათვის, თუმცა უმრავლესობა კარგი ნიშნის მიღების შემდეგ აღარ ამზადებს ახალ მასალას, არ ასრულებს საშინაო დავალებას, რადგან იცის, რომ მოსწავლეები მალე არ გამოიძახებს. „მე ნიშანი უკვე მყავს“

11. თქვენი აზრით, შეგიცვლით თუ არა ქიმიის სწავლისადმი დამოკიდებულებას სასწავლო გარემოს შეცვლა და რატომ?

მოსწავლეთა მიერ გაცემული პასუხების გაანალიზებისას ნათლად ჩანს, რომ ერთფეროვანი გაკვეთილები, ერთფეროვანი შემაჯამებლები, ერთნაირად განლაგებული მერხები, ერთი და იგივე აქტივობები მოსწავლეთა ძალიან დიდი ნაწილისათვის მოსაწყენია. მათ აინტერესებთ სიახლეები, თუმცა მოსწავლეთა მცირე ნაწილი ამბობს, რომ მათთვის გარემოს შექმნას არსებითი მნიშვნელობა არა აქვს, რადგან ცოდნის მიღებას ნებისმიერ გარემოში შეძლებენ;

12. გიშლით თუ არა ხელს რაიმე ფაქტორი სწავლის მიღწევაში ხელს და რატომ?

მოსწავლეთა მიერ გაცემული პასუხებიდან ნათლად ჩანს, რომ მერვე კლასში არიან მოსწავლეები, რომლებსაც არ აქვთ ხელისშემშლელი ფაქტორები სწავლაში, თუმცა მოსწავლეთა უმრავლესობა ასახელებს სხვადასხვა ფაქტორს, განსაკუთრებით კი გამოვყოფ შემდეგს: დაბალ თვითრწმენას, ნაკლებად სჯერათ, რომ შეძლებენ ქიმიის შესწავლას; მათი წარუმატებლობის მიზეზად ასახელებენ ასევე შიშს, რომ ვერასდროს ვერ შეძლებენ ქიმიის შესწავლას.

დიაგრამებზე მოცემული სტატისტიკის და ღია კითხვებზე გაცემული პასუხების მიხედვით ნათელია, რომ მერვე კლასის მოსწავლეებს მეტი მოლოდინი აქვთ, რომ ცდებს ჩაატარებენ, მათთვის მომაბეზრებელია ერთი და იმავე ტიპის გაკვეთილები, ცნებები და ტერმინები უძნელებთ და უინტერესოს ხდის საგნის სწავლებას, უჭირთ საგნის სწავლა, ვერ ხედავენ თუ რა სარგებელს მიიღებენ ქიმიის სწავლების შემდეგ. ყოველივე ამის გამო მოსწავლეებისათვის საგნის სწავლება უინტერესოა, მათი აზრით გარემოს შეცვლა, ახალი აქტივობების გამოყენება, ექსპერიმენტების ჩატარება და სხვა ხელს შეუწყობს მოსწავლეთა ჩართულობის ამაღლებას გაკვეთილზე და შესაბამისად გაიზრდება მოსწავლეთა მოტივაცია.

კვლევის შედეგები

კვლევის მრავალმხრივი ინსტრუმენტების გამოყენებისა და მიღებული მონაცემების ანალიზის საფუძველზე ნათელი გახდა, რომ სამიზნე ჯგუფში გამოითქვა სხვადასხვაგვარი მოსაზრებები ერთი და იგივე საკითხის ირგვლივ. მონაცემთა შეგროვების შემდეგ შევხვედროდი კოლეგებს და მათთვის გამეზიარებინა კვლევის შედეგები. შეხვედრის დროს განვიხილეთ და ვიმსჯელებთ შედეგებზე, გავანალიზეთ მოსწავლეთა პასუხები. შედეგად გამოიკვეთა რამდენიმე მნიშვნელოვანი საკითხი, რომლებზეც საბოლოოდ შევთანხმდით:

1. მოსწავლეთა უმრავლესობა ნაკლებად არის ჩართული ან საერთოდ არ არის ჩართული სწავლა/სწავლების პროცესში ქიმიის გაკვეთილზე;

2. მოსწავლეთა უმრავლესობისათვის საგნის სწავლებას აძნელებს სახელმძღვანელოში გამოყენებული ცნებებისა და ტერმინების სირთულე;

3. მოსწავლეთა უმრავლესობას დაბალი თვითრწმენა და არაპოზიტიური მოლოდინი ქიმიის სწავლების მიმართ;
4. მოსწავლეთა უმრავლესობის აზრით ერთფეროვანი სასწავლო გარემო, ექსპერიმენტებს მოკლებული ქიმიის გაკვეთილი საგნის სწავლებას უინტერესოს ხდის;
5. მოსწავლეთა უმრავლესობა ვერ ხედავს საგნის სწავლების საჭიროებას, მისი ყოფა-ცხოვრებაში და სხვა საგნებთან მიმართებით გამოყენების მიზნით.

კვლევის მეთოდების შედეგად გამოკვეთილი ტენდენციების შესაბამისად, მივიღეთ გადაწყვეტილება ინტერვენციების დაგეგმვის შესახებ. მნიშვნელოვანი იყო იმის გათვალისწინება, რომ ჩემ მიერ დაგეგმილი ინტერვენციები შესაბამისობაში ყოფილიყო ეროვნულ სასწავლო გეგმასთან. სწავლების პროცესში შეტანილი ნებისმიერი ცვლილება, კი მიზანმიმართული უნდა ყოფილიყო მოსწავლეთა მოტივაციის ამაღლებაზე.

ინტერვენციების აღწერა

ინტერვენციების შერჩევისათვის გავითვალისწინე რა ეროვნული სასწავლო გეგმა, კერძოდ, მუხლი 4. სწავლის თეორიები.

მასწავლებელმა იცის სწავლის ძირითადი თეორიები, იცნობს იმ ფაქტორებს, რომლებიც გავლენას ახდენენ სწავლაზე და იცის, როგორ გამოიყენოს ეს ცოდნა მოსწავლის სწავლისა და განვითარების ხელშესაწყობად. ამ მიზნით:

- ა) მასწავლებელი ავლენს სწავლის ძირითადი თეორიების ცოდნას;
- ბ) მასწავლებელმა იცის, თუ როგორ სწავლობს მოსწავლე სხვადასხვა სტრატეგიის გამოყენებით და აცნობიერებს მათ მნიშვნელობას მოსწავლის სწავლის ხელშესაწყობად;
- გ) მასწავლებელმა იცის, როგორ დაეხმაროს მოსწავლეს ცოდნის აგებაში;
- დ) მასწავლებელმა იცის, როგორ დაეხმაროს მოსწავლეებს დამოუკიდებლად სწავლისა და დამოუკიდებელი აზროვნების უნარ-ჩვევების განვითარებაში;

კვლევის შედეგებზე დაყრდნობით დავგეგმეთ ინტერვენციები დადგეგმა შემდეგი მიმართულებებით:

1. მოსწავლეთა შორის თანამშრომლობითი ურთიერთობის ჩამოყალიბება;
2. ცნებების სწავლება;
3. თვითრწმენისა და პოზიტიური მოლოდინის ფორმირება;
4. პრაქტიკული უნარ-ჩვევების განვითარება, კლუბის შექმნა;
5. ტრანსფერი.

1. ინტერვენცია-მოსწავლეთა შორის თანამშრომლობითი ურთიერთობის ჩამოყალიბება.

სტანდარტი (მუხლი 5. სასწავლო გარემო. მასწავლებელმა იცის, როგორ შექმნას უსაფრთხო, მზრუნველი, ეფექტური, ორგანიზებული და კეთილგანწყობილი სასწავლო გარემო. ამ მიზნით მასწავლებელი აცნობიერებს კლასის მართვის სტილის გავლენას მოსწავლის განწყობაზე, ქცევასა და სწავლის შედეგებზე;

ლ) მასწავლებელმა იცის, როგორ მართოს მოსწავლეების ქცევა წყვილებში, დიდ და მცირე ჯგუფებში, როგორ ასწავლოს თანამშრომლობითი ურთიერთობები და ხელი შეუწყოს აზრის გაზიარებას.

აღნიშნული ინტერვენცია მიზნად ისახავდა მოსწავლემ შეძლოს: სწავლა-სწავლების პროცესში მაღალი ჩართულობით გაზარდოს მოტივაცია ქიმიის სწავლებისადმი.

მოსწავლეებთან ჩატარებული გამოკითხვისა და დაკვირვების შედეგების საფუძველზე დაყრდნობით გამოიკვეთა,

რომ მოსწავლეთა უმრავლესობა ნაკლებად იყვნენ ჩართული სწავლა/სწავლების პროცესში. ამ პროცესის გამომწვევ ერთ-ერთ მიზეზად შესაძლებელია დავასახელო მოსწავლის მიერ სასურველი ქულის მიღება, რადგან ყოველივე ამის შემდგომ მათი უმრავლესობა ფიქრობს, რომ გარკვეული დროის მანძილზე მათ მასწავლებელი აღარ გამოიძახებდა.

სასურველი მოქმედების განსახორციელებლად, გადავწყვიტე, კლასში შემექმნა ისეთი გარემო, სადაც მოსწავლეები უკეთესად იქცევიან და ერთმანეთს ეხმარებიან, კერძოდ, გაკვეთილებზე ხშირად გამომეყენებინა ჯგუფური მუშაობა. ამ პროცესის წარმართვისათვის თავდაპირველად დიდი დრო დამჭირდა, რადგან გარკვეულ პრობლემას წარმოადგენდა ის ფაქტი, რომ მოსწავლეებს თანამშრომლობითი უნარ-ჩვევები ნაკლებად გააჩნდათ. ამიტომაც ვიდრე დავიწყებდი სწავლებას, მოსწავლეებს პირველ რიგში ვესაუბრე ჯგუფური მუშაობის წესებზე.

მოქმედება 1. გავითვალისწინე რა გამოცდილება, რომ დიდ ჯგუფში მოსწავლე შეიძლება იყოს პასიური, მორცხვ ბავშვებს უჭირთ აუდიტორიის წინაშე აზრის გამოთქმა და ურჩევნიათ დუმილი ამჯობინონ, ამდენად, მიუხედავად კლასის მრავალრიცხოვნებისა, გადავწყვიტე მოსწავლეთა მუშაობა მცირე ჯგუფებში (4-5 მოსწავლისაგან შემდგარი). ამ ტიპის ჯგუფში იშვიათია ერთი მოსწავლის დომინირება, განიხილება სხვადასხვა მოსაზრება და განსხვავებული ვარიანტები. ამიტომაც მოსწავლეები საჭიროდ თვლიდნენ, მოესმინათ ყველა ვერსია, გაეანალიზებინათ და შეჯერებულიყვნენ ერთ აზრზე.

მოქმედება 2. ჯგუფური მუშაობის დროს, მოსწავლეები ხშირად ერთსა და იმავე მოსწავლეს ირჩევდნენ ლიდერად/პრეზენტატორად, რომელსაც ეკისრებოდა მთელი პასუხისმგებლობა, როგორც ჯგუფში მუშაობის და დავალების კარგად შესრულებისას, ასევე პრეზენტაციისას. ეს რომ ასე არ მომხდარიყო, ხშირად ვთხოვდი მოსწავლეებს, შეეცვალათ ლიდერი, ასევე განუმარტავდი მათ, რომ ჯგუფის წარმატება თითოეული მათგანის მონაწილეობასა და ჩართულობაზე დამოკიდებული. ასევე ვურჩევდი ნაკლებად გამოგვეყენებინა ტერმინი ლიდერი (რადგან ყველას სურს იყოს ლიდერი).

მოქმედება 3. მოსწავლეებს ვაჯგუფებდი სხვადასხვა კრიტერიუმის მიხედვით, თუმცა დიდ მნიშვნელობას ვანიჭებდი მოსწავლეთა დაჯგუფებას-აქტიურობის ხარისხის მიხედვით. „წყნარი“ მოსწავლეები დავაჯგუფე ერთად, რადგან ისინი ნაკლებად მოახერხებდნენ, ვინმეს ზურგს ამოფარებოდნენ და სხვას ველარ ანდობდნენ გადაწყვეტილების მიღებას. ასეთი დაჯგუფება ასევე სასარგებლო იქნება ზედმეტად აქტიური მოსწავლეებისათვის, რადგან ისინი ნაკლებად მოახერხებენ დომინირებას და მოუწევთ დათმობებზე წასვლა.

მოქმედება 4. გაკვეთილზე ვიყენებდი, როგორც შესასვლელ ასევე გასავლელ ბილეთებს. იმ მიზნით, მიმელო ინფორმაცია, მოსწავლეთა წინარე ცოდნის, ინტერესების, დამოკიდებულებების, საკითხის გაგება-გააზრების, მოსაზრებებისა და შეხედულებების შესახებ. ასევე მიღებული ინფორმაცია ვიყენებდი გაკვეთილზე ცვლილებების შესატანად, მომავალი გაკვეთილის დასაგეგმად მოსწავლეთა ინტერესების გათვალისწინებით.

ეს ინტერვენცია მიმდინარეობდა დაახლოებით ხუთი თვის განმავლობაში. ინტერვენციის ჩასატარებლად გამოვიყენე ისეთი რესურსები, როგორებიცაა არის ფლიპჩარტები, მარკერები, დაფა, მობილური ტელეფონი, ნოუტბუქი და სხვა.

შედეგი: აღნიშნულ აქტივობაში თითოეული მოსწავლე განსაკუთრებული აქტიურობით გამოირჩეოდა.

აღსანიშნავია მათი დაინტერესება გაკვეთილზე თანამშრომლობითი სწავლების ისეთი მეთოდების შეტანისას, როგორებიც არის „სწავლა გაჩერებებით“, „ჯიგსოუ“ და სხვა. როცა მოსწავლეები მუშაობდნენ სასწავლო გაჩერებებისათვის“ მოწყობილ საკლასო ოთახში მათი ცნობისმოყვარეობა მაღლდებოდა, რაც, შესაბამისად, ხელს

უწყობდა მოსწავლეთა სასწავლო პროცესში ჩართვას. გასასვლელი ბილეთების პასუხებისაგან გამოიკვეთა, რომ გაკვეთილი საინტერესოდ მიმდინარეობს განსაკუთრებით მაშინ, როცა ისინი გაკვეთილის აქტიური მონაწილეები არიან. ასევე გასასვლელი ბილეთის შევსების მოლოდინი ხელს უწყობდა მოსწავლეთა ყურადღების შენარჩუნებას გაკვეთილის ბოლომდე. მოსწავლეები დარწმუნდნენ, რომ ყველას შეუძლია მოირგოს ლიდერის როლი, განუვითარდეთ თანამშრომლობითი სწავლების უნარ-ჩვევები.

2. ინტერვენცია-ცნებების სწავლება

ცნებების შესწავლის მიზანია, მოსწავლეს გაუადვილდეს მსგავსი მოვლენების, იდეების, საგნების, ნივთიერებების დაჯგუფება; შეძლოს დიდი მოცულობის ტექსტების სისტემატიზაცია, რაც შესაბამისად არ შეუქმნის მოსწავლეებს სირთულეებს სწავლა-სწავლების პროცესში და შედეგად მოსწავლეთა მოტივაციის ამაღლებას შეუწყობს ხელს.

გავრცელებული აზრის თანახმად გონებაში გვაქვს ცნებების პროტოტიპი ანუ გამოსახულება, რომელიც მოიცავს თითოეული ცნების არსს. ცნების დადგენისას მნიშვნელოვანია მოსწავლემ მიმართოს საკუთარ სქემატურ ცოდნას, რომელიც პირდაპირ კავშირშია ცოდნასთან.

გავითვალისწინოთ რა სხვათა შეხედულებები, ცნებების სწავლებისას მეც ვიხელმძღვანელო კარგად ცნობილი გამონათქვამით „ასჯერ გაგონილს ერთხელ ნანახი სჯობია“. შესაბამისად, სასწავლო პროცესში ცნებების სწავლებისას გამოვიყენო სხვადასხვა ტიპის ნიმუში.

იმ მიზეზების გამო, რომ საგანია ახალია და მოსწავლეებს უჭირთ სახელმძღვანელოში გამოყენებული სხვადასხვა ცნებისა და ტერმინის დამახსოვრება, რაც მოსწავლეთა უმრავლესობისათვის საგნის სწავლებას აძნელებს, სასურველ მოქმედებად მივიჩნეო:

მოქმედება 1. ისეთი თემების შესწავლისას, სადაც მოცემული იყო სხვადასხვა სირთულის ახალი ცნებები და ტერმინები, გადავწყვიტე პრობლემის მოსაგვარებლად გამომეყენებინა ელექტრონული რესურსი- „learningapps.org“. გაკვეთილს ვატარებდი ტექნოლოგიურ კაბინეტში, სადაც კომპიუტერი თითქმის ყველა მოსწავლისათვის ხელმისაწვდომია. თავდაპირველად მოსწავლეებს ვესაუბრე ინტერნეტ-რესურსის „learningapps.org“-შესახებ, მივაწოდე ინსტრუქცია, გაეუზიარე ჩემ მიერ შექმნილი რესურსები და ვასწავლე თამაშის წესები.

შემდგომ ეტაპებზე ამ ინტერნეტ-რესურსის გამოყენება შესაძლებელი იყო საკლასო ოთახში, რომელიც ორგანიზებული იყო ნოუთბუქით და პროექტორით. ვებ მისამართზე

<https://learningapps.org/index.php?category=12&s=>

მოსწავლეები მიზნობრივად ასრულებდნენ სხვადასხვა ავტორის მიერ შექმნილ დავალებებს.

მოქმედება 2. ცნებების უკეთ გააზრება/დამახსოვრებისათვის გადავწყვიტე კონკრეტული მაგალითის საფუძველზე მოსწავლეებს შეექმნათ სხვადასხვა ტიპის რესურსები/მოდელები, ნიმუშები, დიაგრამები/გრაფიკები. მაგალითად, მოლეკულების, მარტივი და რთული ნივთიერებების, ატომის შედგენილობის და სხვა. რესურსებად გამოიყენებოდა როგორც სკოლის ბაზაზე ქიმიის კაბინეტში არსებული სხვადასხვა მასალა(ფერადი ბურთულები და სხვა). ასევე მათ სხვადასხვა ცნება წარმოედგინათ ნახატების სახით; კონკრეტული მაგალითის საფუძველზე ამ ინტერვენცია მიმდინარეობდა ოთხი თვის განმავლობაში, დასახული ინტერვენციის შესაფასებლად გამოვიყენებდი დაკვირვების დღიურს.

შედეგი: აღნიშნული აქტივობების გამოყენებით მოსწავლეები ხალისიანად ასრულებდნენ დავალებებს,

რამაც ხელი შეუწყო მოტივაციის ამაღლებას და სასწავლო პროცესში ჩართულობას, შესაბამისად, გაუადვილდათ ქიმიის ძირითადი ცნებების გააზრება მოლეკულებსა და ატომზე. ამ მეთოდით სწავლებამ მნიშვნელოვნად დაეხმარა მოსწავლეებს, განსაკუთრებით მაშინ, როცა შესასწავლი მასალა იყო უცნობი, რთული. თუ მასწავლებელი ეხმარება მოსწავლეს მიწოდებული ინფორმაციის განმარტებაში. ასევე, ინფორმაციის განმარტებაში ჩემ მიერ გაწეულმა დახმარებამ დახმარებით მოსწავლეებს შეადლებინეს დაემყარებინათ კავშირის გამოყენებულ ცნებებსა და ტერმინებს შორის. ხელი შეუწყო კეთებით სწავლას.

3.ინტერვენცია-თვითრწმენისა და პოზიტიური მოლოდინის ფორმირება .

ამ ინტერვენციის მიზანს წარმოადგენს ის, რომ მოსწავლეები ფოკუსირებული იყვნენ ამოცანაზე და არ ინერვიულონ იმის გამო, რომ მათ ამ საგნის სწავლებისას შეიძლება მარცხი განიცადონ.

მოტივაციის თვალსაზრისით რწმენა იმასა, რომ ნიჭიერი ხარ უფრო მეტს აკეთებს ვიდრე ნიჭიერების რეალური დონე, „შეიძლება იყო ნიჭიერი, მაგრამ თუ არ ხარ მიზანსწრაფული, სწავლაში წარმატებას ვერ მიაღწევ“(ანასტაზი).

იმ რეალური მიზეზის გამო, რომ მოსწავლეთა უმრავლესობას გააჩნიათ დაბალი თვითრწმენა და არაპოზიტიური მოლოდინი ქიმიის სწავლების მიმართ, სასურველ მოქმედებად მივიჩნევ:

მოქმედება 1. იმისათვის, რომ თავდაპირველად მოსწავლეები დამერწმუნებინა, შეცდომის დაშვება ბუნებრივი და საჭირო მოვლენაა, შევეცადე, შემეცვალა მათი საკუთარი თავისადმი დამოკიდებულება, იმ მაგალითების ჩვენებით, რომ შეცდომა სხვებსაც მოდის და მათ შორის მეც. ვეხმარებოდი საკუთარი შეცდომები თვითონ მოეძებნათ და გაესწორებინათ. ამისათვის ვიყენებდი შემდეგ მეთოდს, თემის დასრულების შემდეგ, გაკვეთილის ბოლოს კლასიდან გასვლამდე, მოსწავლეებს ფერად სტიკერებზე უნდა დაეწერათ მათ მიერ დაშვებული ერთი რომელიმე შეცდომა. ასევე მოსწავლეებს ვამხნევებდი შემდეგი ფრაზით „თქვენი შეცდომების გარეშე, მე სამსახური არ მექნებოდა“. მოსწავლეებში წარმატების რწმენის გამომუშავების მიზნით, დავალების შესრულების შემდგომ წარმოვაჩინე მის ძლიერ მხარეებს და აღვნიშნავდი მათ თუნდაც უმნიშვნელო წინსვლას.

მოქმედება 2. იმ მიზეზის გამო, რომ გამეზარდა მოსწავლეთა თვითრწმენა, რომ ისინი ამას შეძლებდნენ და ჩამოუყალიბებდებათ პოზიტიური მოლოდინები, სასწავლო პროცესი დავნერგე შემდეგნაირად:

1. მუშაობა დავიწყე მოსწავლეთა რეალურად არსებული დონიდან. ტემპი მოზომილი იყო ისეთნაირად, რომ მოსწავლეებს ახალ მასალაზე გადასვლა არ უწევდათ, მანამ ვიდრე იმ მომენტისათვის მიცემულ მასალას სრულად არ აითვისებდნენ. ეს შესაძლებელი გახდა მოსწავლეებისათვის ისეთი ტესტების შედგენით, რომელიც მოიცავდა, როგორც მარტივ ასევე რთულ კითხვებს. ასეთ დროს თითოეული მოსწავლე აღწევდა გარკვეულ წარმატებას, რაზეც მიუთითებდა ის, რომ თითოეულ მოსწავლეს ჰქონდა მინიმუმ დამაკმაყოფილებელი ნიშნის მიღების შანსი;

2.ვედილობდი, სასწავლო მიზნები მოსწავლეებისათვის ყოფილიყო ცხადი და განხორციელებადი;

3.ეფექტური უკუკავშირის გამოყენებით მოსწავლეებს ვეხმარებოდი საკუთარი პროგრესის დანახვაში. კითხვებს ვუსვამდი იმ საკითხებს, რომლებიც რთულად ეჩვენებოდათ, ახლა კი მარტივად მიაჩნიათ. აღვნიშნავდი, რამდენად განვითარდნენ;

4.მოსწავლეებს ვარწმუნებდი, რომ აკადემიური უნარების გაუმჯობესება შეიძლება სხვა საკითხებთან მიმართებით, მაგალითად, თუ გაუჭირდათ „იზოტოპების“ შესწავლა, ეს არ ნიშნავს იმას, რომ ისინი ატომის აგებულებას კარგად ვერ შეისწავლიან;

5. სწავლების პროცესში მოსწავლეებს ხშირად ვახსენებდი და შეცდომებს მასწავლებლებიც ვუშვებთ და უშეცდომოდ სწავლა შეუძლებელია. ყოველი მათგანი შეცდომას უნდა განიხილავდნენ, როგორც სწავლისა და

განვითარების შესაძლებლობა.

6. სწავლა-სწავლების პროცესში ვიყენებდი განმავითარებელ შეფასებას, რომლის მნიშვნელოვანი კომპონენტია ეფექტური უკუკავშირი. მოლოდინი იმისა, რომ მოსწავლეები უშეცდომოდ შეასრულებს დავალებას, დიდხანს უშედეგოა, ხაზს ვუსვამდი ყოველგვარ წინსვლას, თუნდაც უმნიშვნელოს, წარმოვაჩენდი მის ძლიერ მხარეებს, მოსწავლეებს უკუკავშირის იღებდნენ ასევე ერთმანეთისაგან. უკუკავშირის მიცემისას ისინი აღწერდნენ, რა გამოსდით კარგად და ამით განამტკიცებდნენ მათი მიღწევების პოზიტიურ განმტკიცებას; რისი გაუმჯობესება სჭირდებათ და როგორ შეუძლიათ გაუმჯობესონ, რათა მიაღწიონ სასურველ მიზანს. (ესგ.დ) მასწავლებელი ეხმარება მოსწავლეებს, გამოიყენონ მასწავლებლის შეფასება, თანატოლების შეფასება და თვითშეფასება საკუთარი თავისადმი რწმენის ჩამოყალიბებაში, სხვათა შესაძლებლობების შეფასება/აღიარებასა და საკუთარი შედეგების გაუმჯობესებაში)

ინტერვენცია მიმდინარეობდა ხუთი თვის განმავლობაში, მის შესაფასებლად ვიყენებდი დაკვირვებას, დოკუმენტებს-ჟურნალს. რესურსად გამოიყენებოდა ფერადი სტიკერები, ღიმილაკები.

შედეგი: მოსწავლეებს აღარ ეშინოდათ შეცდომის დაშვების, პოზიტიური უკუკავშირის გამოყენებით მოსწავლეებს გამოუმუშავდათ წარმატების რწმენა. აღარ აშინებდათ დავალებების სირთულე. მოსწავლეებში იმ განცდის გაჩენამ, რომ მათ აქვთ შესაძლებლობა და ძალისხმევა ქიმიის დასასწავლად ამაღლა მათი მოტივაცია სწავლების პროცესში. უკუკავშირის ხშირმა და სწორმა გამოყენებამ მოსწავლეებს დაანახვა, რისი გაუმჯობესება სჭირდებოდათ და როგორ შეუძლიათ გაუმჯობესონ, რათა მიაღწიონ სასურველ მიზანს.

4.ინტერვენცია-პრაქტიკული-უნარ-ჩვევების განვითარება. გამოკითხვის შედეგებიდან გამომდინარე, მოსწავლეთა უმრავლესობისათვის საგანი უფრო საინტერესო იქნება, თუ ისინი უფრო ხშირად ჩაატარებდნენ პრაქტიკულ სამუშაოებს გააკეთებენ, ამიტომაც ამ ინტერვენციის მიზნად დავისახე მოსწავლეებში მოტივაციის ამაღლების მიზნით პრაქტიკული უნარ-ჩვევების განვითარება.

მონაწილეობა მივიღე, რა ახალი სკოლის მოდელის მიერ ინიცირებულ სამუშაო შეხვედრებში, მივიღე გამოცდილება კომპლექსური დავალებების შესრულებასთან დაკავშირებით და შესაბამისად ვაძლევდი ისეთი ტიპის დავალებებს, რომლებიც ითვალისწინებდა საშინაო ექსპერიმენტის ჩატარებას. ვიყენებდი დაგეგმილი ექსპერიმენტისათვის საჭირო ყველა რეაქტივს და ხელსაწყოს და ასევე კომპიუტერსა და პროექტორს.

1. პირველი პრაქტიკული მეცადინეობის ფარგლებში მოსწავლეებთან ჩატარებულ იქნა სხვადასხვა ექსპერიმენტი (მეტალების ურთიერთქმედება ჟანგბადთან, ინდიკატორების ფერის ცვლილება მჟავა და ტუტე არეში).

2. შემდეგი შეხვედრისათვის გამოვიყენე ტექნოლოგიების ოთახი, სადაც ყველა მოსწავლეს ჰქონდა საშუალება კომპიუტერის გამოყენებით ენახა სხვადასხვა საინტერესო ცდები. გამოვიყენეთ გვერდი amazing chemistry experiments. მოსწავლეები აკვირდებოდნენ ექსპერიმენტებს, აკეთებდნენ ჩანაწერებს.

3. მესამე შეხვედრა დაეთმო ქიმიური ექსპერიმენტის ჩატარებას თემაზე „მეტალების ურთიერთქმედება მჟავასთან“.

შედეგი: მოსწავლეებისათვის სწავლა უფრო საინტერესო და სახალისო გახდა. ისინი თვითონ ითხოვდნენ დამატებით შეხვედრებს. ატარებდნენ საინტერესო ექსპერიმენტებს, უყურებდნენ სახალისო ვიდეო-ექსპერიმენტებს. შედეგებს უზიარებდნენ ერთმანეთს. მოსწავლეებმა განავითარეს პრაქტიკული უნარ-ჩვევები და ამ მხრივ დარწმუნდნენ საკუთარ შესაძლებლობებში.

5. ინტერვენცია-ტრანსფერი

მასწავლებლის პროფესიულ სტანდარტში მუხლი 7. სასწავლო პროცესი. მასწავლებელმა იცის სასწავლო პროცესის დაგეგმვა ეროვნული და სასკოლო სასწავლო გეგმების მოთხოვნების შესაბამისად. ამ მიზნით: გ) მასწავლებელმა იცის, როგორ დაამყაროს საგანთა შორის კავშირი ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული მისაღწევი შედეგების და პროგრამების დონეზე;

„ჩემ მიერ მოგვარებული ყოველი პრობლემა იქცევა წესად, რომელიც სამომავლოდ სხვა პრობლემის მოგვარებაში მეხმარება“ (რენე დეკარტი).

ინტერვენციის მიზანს წარმოადგენს მოსწავლეებმა შეძლონ ქიმიამი მიღებული ცოდნა გამოიყენონ სხვა საგნებთან მიმართებით და განუვითარდეთ ხედვა მისი მნიშვნელობის შესახებ.

კვლევები მოწმობს, რომ ტრანსფერის უნარი არ არის თანდაყოლილი და არც თავისთავად ვითარდება, ამიტომაც ჩვენი ამოცანაა, მოსწავლეებს დავეხმაროთ ამ უნარის შექმნაში, რადგან შეძლონ სკოლაში მიღებული ცოდნა გამოიყენონ სხვა ვითარებაში.

იმ მიზეზების გამო, რომ მოსწავლეთა უმრავლესობა ვერ ხედავს საგნის სწავლების საჭიროებას, მისი ყოფაცხოვრებაში და სხვა საგნებთან მიმართებით გამოყენების მიზნით, დავსახე შემდეგი სასურველი ქმედება: გავითვალისწინე რა, რომ არსებობს ახლო და შორი ტრანსფერი, ავირჩიე ისეთი ინტერვენცია, რომელიც ითვალისწინებდა, როგორც კავშირს ახლო საგნებს შორის (გეოგრაფია, ფიზიკა, მათემატიკა-ახლო ტრანსფერი), ასევე ვცდილობდი (შორი ტრანსფერი) მიმეცა ისეთი შეკითხვები, დავალებები, სადაც აღწერდნენ სკოლაში ნასწავლი ქიმიის გამოყენებას არასასწავლო გარემოში. ეს გახდა მიზეზი იმისა, რომ ჩამეტარებინა პროექტი-გაკვეთილი თემაზე: ქანები. პროექტის ფარგლებში კლასის მოსწავლეები დავყავი 7 ჯგუფად. თითოეული ჯგუფის დავალებები განსხვავდებოდა ერთმანეთისაგან. პროექტის განხორციელებისათვის მიეცათ ვადა 2 კვირა. პროექტის მსვლელობას ეტაპობრივად ვაკვირდებოდი. პროექტის შედეგები უნდა წარმოადგინონ კლასის წინაშე პრეზენტაციის სახით. პროექტისათვის გამოეყო საჭირო რესურსები: კომპიუტერი, სახელმძღვანელო, ფლიპჩარტები. პროექტორი. ფერადი ქაღალდები, ნიმუშები (მარმარილო, გრანიტი, ქვიშა, ღორღი, ზურმუხტი), საქართველოს გეოლოგიური რუკა .

ინტერვენციის შეფასებას ვაწარმოებ მოსწავლეთა ნამუშევრებზე დაკვირვებით და გამოკითხვის გამოყენებით. შედეგი: მოსწავლეებმა შეძლეს პასუხი სწორად გაეცათ არა მარტო მიცემულ დავალებაზე, არამედ მათ დაიწყეს აზროვნება, საგნის სხვადასხვა კუთხით აღქმა, რაც სხვადასხვა კონტექსტში გამოყენება.

ინტერვენციების შეფასება

იმ მიზნით, რომ გამომეკვთა ყოველი აქტივობის შემდეგ როგორ შეიცვალა პრობლემა, ინტერვენციების შედეგების შესამოწმებლად გამოვიყენე კვლევის იგივე ინსტრუმენტები, რომლებიც ინფორმაციის შეგროვების დროსას.

განმეორებთმა ფოკუს-ჯგუფმა, რომელიც ჩავატარე ინტერვიუს სახით და გამოვიყენე ზეპირი კითხვები, აჩვენა, რომ მოსწავლეთა უმრავლესობას დადებითი განწყობა აქვს საგნის სწავლებისადმი და მათი მოლოდინიც მაღალია, რადგანაც აღარ ეშინიათ შეცდომების დაშვების, ხედავენ საგნის სამომავლოდ გამოყენების პერსპექტივას და ამაღლებული აქვთ თვითრწმენა, რომ ადვილად შეძლებენ საგნის სწავლას.

დაკვირვებამ, რომელიც განვახორციელე იმ მიზნით, რათა დამენახა მოსწავლეთა ჩართულობა როგორ შეიცვალა გაკვეთილებზე, აჩვენა, რომ იმ მოსწავლეები, რომლებიც არ იყვნენ ან ნაწილობრივ იყვნენ ჩართული სწავლების პროცესში, მათი ჩართულობა გაუმჯობესდა. კერძოდ ის აქტივობები, რომლებიც ამ მიზნით გამოვიყენე მათთვის საინტერესო იყო. შესაბამისად, გაუმჯობესდა ურთიერთთანამშრომლობა და მათთვის მნიშვნელოვანი გახდა არა

ქულა, არამედ საკითხის გაგება-გააზრება. დაკვირვების შედეგად ასევე გამოვლინდა, რომ კომპიუტერული ტექნოლოგიების გამოყენება მნიშვნელოვნად ზრდიდა მოსწავლეთა ჩართულობას, ასეთი გაკვეთილების ეფექტურობას განსაკუთრებულად აღწერდნენ ის მოსწავლეები, რომლებიც სწავლების პროცესში არ გამოირჩეოდნენ საშუალო აქტიურობითაც კი. ცხადი გახდა, რომ ტექნოლოგიების გამოყენებით სასწავლო პროცესი არის უფრო საინტერესო და ამალეებს მოსწავლეების მოტივაციას.

გამოკითხვის ჩატარებისას გამოვიყენე, იგივე კითხვარი, რაც კვლევის დასაწყისში მქონდა მცირედი შესწორებებით (იხ. დანართი). გამოკითხვებმა შესაძლებლობა მომცა, გამეზომა ის ცვლილებები, რომლებიც კვლევის დასაწყისში მქონდა და რაც ახლა მაქვს კვლევის დასრულების შემდეგ. დახურული კითხვების შედეგებმა აჩვენა, რომ ის პრობლემები, რომლებიც გამოკვეთილი იყო კვლევის დასაწყისში, კვლევის ბოლოს გაუმჯობესებულია.

მონაცემები წარმოვადგინე ცხრილის სახით:

გამოკითხვის შედეგების %-ული მაჩვენებლები.

შეკითხვა	კვლევის დასაწყისში			კვლევის ბოლოს		
	დიახ	არა	ნაწილობრივ	დიახ	არა	ნაწილობრივ
მოგწონთ თუ არა საგანი	43	28	29	65	17	18
გიქმნით თუ არა სირთულეს სწავლაში, ტექსტში მოცემული ცნებები და ტერმინები	47	22	31	24	53	23
ხართ თუ არა ჩართული საგაკვეთილო პროცესში?	33	36	31	62	21	27
საგნის სწავლება შეუწყობს თუ არა ხელს თქვენი მომავალი პროფესიის არჩევას?	4	87	9	11	51	38
გამოიყენებთ თუ არა ქიმიაში მიღებულ ცოდნას	27	14	32	33	32	35

სხვა საგნის სწავლებისას?						
-----------------------------	--	--	--	--	--	--

ღია კითხვებიდან მიღებული პასუხებიდან იკვეთება, რომ კვლევის დასწყისში წამოჭრილი პრობლემები გაუმჯობესებულია, კერძოდ, გარემოს შეცვლა, ახალი აქტივობების გამოყენება, ექსპერიმენტების ჩატარება, საკლუბო მუშაობა, ისტ-ის გამოყენება და სხვა აქტივობები ზრდის საგნისადმი ინტერესს, ამალღებს მოსწავლეთა ჩართულობას გაკვეთილზე და შესაბამისად ზრდის მოსწავლეთა მოტივაციას.

დასკვნა

პროცესი წარმატებული იყო. კვლევის პირველ ეტაპზე წარმატებით განხორციელდა საკვლევი საკითხისა და კლასის შერჩევა. დასახული მიზნის მისაღწევად შერჩეული ინტერვენციების განხორციელების შედეგად გაუმჯობესდა მოსწავლეთა მოტივაცია სასწავლო პროცესში. კვლევის შედეგები არ იძლევა იმის თქმის საშუალებას, რომ საკვლევი პრობლემა ბოლომდე მოგვარებულია, მაგრამ რადგანაც ინტერვენციებმა მოგვცა კარგი შედეგები, საერთო ჯამში პრაქტიკის კვლევა შეიძლება შეფასდეს წარმატებულად.

მიზნობრივად შერჩეული კვლევის მეთოდები, გამოვლენილი პრობლემის გამომწვევი მიზეზები (მოსწავლეთა ნაკლები ჩართულობა სწავლა/სწავლების პროცესში; სირთულე ცნებების, ტერმინების დამახსოვრებაში; დაბალი თვითრწმენა; საგნისადმი უინტერესო დამოკიდებულება და მისი გამოყენების მნიშვნელობის გაუცნობიერება) ცვლილებების განსახორციელებლად დაგეგმილი ინტერვენციები დამეხმარა პრობლემის მოგვარებასა და, შესაბამისად, მოსწავლეთა მოტივაციის ზრდაში. როგორც კვლევის შედეგებიდან ჩანს, განხორციელებული ინტერვენციები შედეგიანი აღმოჩნდა, კერძოდ, თვითრწმენის და პოზიტიური მოლოდინების ფორმირებაში განსაკუთრებული როლი ითამაშა მოსწავლეებში იმ აზრის გაზიარებამ, რომ უშეცდომოდ სწავლა შეუძლებელია. ასევე ეფექტური უკუკავშირის სწორად გამოყენებამ მოსწავლეებს დაანახვა, თუ როგორ უნდა მიღწიონ მიზანს. ცნებების და ტერმინების სწავლაში განსაკუთრებული როლი ითამაშა კომპიუტერულმა ტექნოლოგიებმა, კერძოდ, იქ გამოყენებულმა სხვადასხვა თამაშმა, ასევე მოდელების შექმნამ. კვლევის შედეგად გამოვლინდა, რომ კომპიუტერული ტექნოლოგიების გამოყენებამ სწავლება უფრო საინტერესო და სახალისო გახადა. ასევე თანამშრომლობითი უნარ-ჩვევების გამომუშავებას ხელი შეუწყო სხვადასხვა აქტივობის შეტანით გაკვეთილების გამრავალფეროვნებამ. პროექტის შესრულებამ კი მოსწავლეებმა გააცნობიერეს, საგანი როგორ დაუკავშირონ არა მარტო სხვა საგნებს, არამედ ყოველდღიურ ცხოვრებას. ჩემ მიერ ჩატარებული კვლევა სარგებლიანობის მომტანი იქნება მე-8, მე-9 კლასის მოსწავლეებისათვის, რადგან შესწავლილ იქნა კლასისთვის მნიშვნელოვანი და აქტუალური პრობლემა და ჩატარდა მოქმედებები მის მოსაგვარებლად. აგრეთვე იმ მასწავლებლებმა, რომლებიც დაინტერესდებიან კვლევის შედეგებით, შესაძლოა გამოიყენონ მსგავსი ინტერვენციები სწავლა-სწავლების პროცესში და გაუმჯობესონ პედაგოგიური პრაქტიკა იმ მიზნით, რომ შექმნან მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო გარემო. კვლევის შედეგების გამოყენებას შევძლებ ასევე მეც, შემდგომში სხვა კლასში კვლევის დაგეგმვისას. კვლევამ დამიდასტურა, რომ მოსწავლეთა მოტივაციაზე ზრუნვა მასწავლებლისათვის

მნიშვნელოვანი ვალდებულებაა. მიზნის მისაღწევად აუცილებელია მოტივაციის მიღწეული დონის შენარჩუნება და კიდევ უკეთესი განვითარებისათვის კი მასწავლებელი მუდმივად უნდა ზრუნავდეს და ეხმარებოდეს მოსწავლეებს.

რეკომენდაციები:

მოსწავლეთა მოტივაციის გაზრდის მიზნით:

- ✚ სასწავლო პროცესში გახდეს უფრო მრავალფეროვანი სხვადასხვა აქტივობის გამოყენებით, განსაკუთრებით ჯგუფური მუშაობა ჩატარდეს სხვადასხვა მეთოდის გამოყენებით;
- ✚ საგაკვეთილო პროცესში გამოყენებულ იქნეს კომპიუტერული ტექნოლოგიები;
- ✚ გაკვეთილის დაგეგმვისას გათვალისწინებულ იქნეს მოსწავლეთა ინტერესები და შესაძლებლობები;
- ✚ მოსწავლეები ჩართული იყვნენ პრაქტიკულ საქმიანობასთან დაკავშირებულ სხვადასხვა აქტივობაში;
- ✚ მოსწავლეებში დაინერგოს კეთებით სწავლა;
- ✚ დაინერგოს პროექტებით სწავლება ქიმიის გაკვეთილებზე;
- ✚ განხორციელდეს საგამანამათლებლო ვიზიტები ბათუმის უნივერსიტეტთან.

ბიბლიოგრაფია

აბულაძე ი., მოტივაცია თეორიასა და პრაქტიკაში, ჟურნალი „მასწავლებელი“, 2014

ბერძენიშვილი ც., გოდუაძე მ., სწავლების ფსიქოლოგია, 2017;

ეროვნული სასწავლო გეგმა 2016-2024;

ვულფოლკი ა., განათლების ფსიქოლოგია, 1990

მილსი,ჯეფერი ი.სამოქმედო კვლევა სახელმძღვანელო მკვლევარ პედაგოგებისათვის/ჯეფერი ი.მილსი,მესამე გამოცემა.

მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო გარემოს მახასიათებლები. მოდული 1,2016. პროფესიული უნარები, 2017.

სამაგიდო წიგნი მასწავლებელთათვის, 2007.

„სახელმწიფო და საერთაშორისო შეფასება: სასკოლო განათლების ძირითადი გამოწვევებ“-ს(
<http://naec.ge/post/1603>) 2017.

წულაძე ლ., რაოდენობრივი კვლევის მეთოდები სოციალურ მეცნიერებებში, 2008

ხუნძაყიშვილი, მ. ბივერი ს., განმავითარებელი შეფასება, დიფერენცირებული სწავლება.

ჯაფარიძე მ., მასწავლებლის წიგნი, 2013.

რეფლექსია

2023-2024 წელს ჩავატარე სამოქმედო კვლევა თემაზე „მოსწავლეთა მოტივაციის ამაღლება საბაზო საფეხურზე, ქიმიის გაკვეთილზე. კვლევის მიზანი იყო მოსწავლეთა მოტივაციის ამაღლება ქიმიის გაკვეთილზე.

კვლევის ჩატარებამდე, მერვე/მეცხრე კლასების მოსწავლეებსა და დამრიგებელს ვესაუბრე კვლევის მიზნებისა და ამოცანების შესახებ. ისინი დამთანხმდნენ, რომ მონაწილეობას მიიღებდნენ ჩემ მიერ შეთავაზებულ კვლევაში.

კვლევა გრძელდებოდა 7-8 თვის განმავლობაში. მოსწავლეები აქტიურ მონაწილეობას ღებულობდნენ კვლევის პროცესებში (ფოკუს-ჯგუფი, გამოკითხვა), რამაც ხელი შემიწყო გამომეკვთა პრობლემის გამომწვევი მიზეზები და მომეხდინა მისი გამოსწორების შესაბამისი ქმედებების შერჩევა.

კვლევის დასრულების შემდეგ შევხვდი კოლეგებს და კვლევის შედეგები გავუზიარე პრეზენტაციის სახით. კოლეგებისგან მივიღე უკუკავშირი. მათი აზრით: საკვლევი საკითხი და თემის აქტუალურობა გარკვევით არის დასაბუთებული, მიზანი ნათელია და შეესაბამება საკვლევ პრობლემატიკას. სწორად შერჩეულმა კვლევის მეთოდებმა ხელი შეუწყო მონაცემების შეგროვებას. ინტერვენციების მრავალგვარობა კი არის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი პრობლემის მოგვარების. კოლეგებმა აღნიშნეს, რომ ამ კვლევის გამოყენებას მცირედი ინტერპრეტაციით შეძლებენ საკუთარ პრაქტიკაში. მათი აზრით უფრო საინტერესო იქნება, თუ სამომავლოდ მსგავს კვლევას ჩავატარებთ პარალელურ კლასებში ან სწავლების რომელიმე საფეხურზე.

ვფიქრობ, კოლეგები დაგეგმავენ მსგავსი ტიპის კვლევებს, რაც მათ დაეხმარება პროფესიულ განვითარებასა და მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების გაუმჯობესებაში. კვლევის ჩატარება ხელს უწყობს ჩემს პროფესიულ განვითარებას და თანამშრომლობითი უნარების ჩამოყალიბებას. ის ასევე მნიშვნელოვანია მოსწავლეებისათვის, რადგან ისინი ამ გზით იუმჯობესებენ ისეთ უნარებს როგორებიცაა გუნდური მუშაობა, კომუნიკაცია, პრაქტიკული უნარ-ჩვევები, კეთებით სწავლა და სხვა.

დანართები:

დანართი-1 გამოკითხვის ფურცელი მოსწავლეებისათვის

კლასი-მე-8

მოგესალმებით,

გთხოვთ მონაწილეობა მიიღოთ გამოკითხვაში, რომელსაც ვატარებ პედაგოგიური პრაქტიკის გაუმჯობესების მიზნით.

თქვენი ანონიმურობა დაცულია და გთხოვთ პასუხების გაცემის დროს იყავით გულწრფელნი.

1. გიყვართ თუ არა საგანი?

ა) დიახ ბ) არა

2. გიქმნით თუ არა სირთულეს სწავლაში, ტექსტში მოცემული ცნებები და ტერმინები?

ა) დიახ ბ) არა

3. ხართ თუ არა ჩართული საგაკვეთილო პროცესში?

ა) დიახ ბ) არა

4. საგნის სწავლება ხელს შეუწყობს თუ არა თქვენი მომავალი პროფესიის არჩევას?

ა) დიახ ბ) არა

5. გამოიყენებთ თუ არა ამ საგანში მიღებულ ცოდნას სხვა საგნის შესწავლის დროს?

ა) დიახ ბ) არა

6. რა აამაღლებს თქვენს ინტერესს საგნის სწავლებისადმი?

7. რა უფრო მნიშვნელოვანია თქვენთვის ნიშნები თუ ცოდნა და რატომ?

8. როგორ ფიქრობთ კლასგარეშე დამატებითი აქტივობები აამაღლებს თუ არა თქვენს ინტერესს საგნისადმი?

9. როგორ ფიქრობთ გამოგვადგება თუ არა ქიმიის მიღებული ცოდნა ყოველდღიურ ცხოვრებაში?

10. როგორ აგრძელებთ სწავლის პროცესს კარგი ნიშნის მიღების შემდეგ?

11. თქვენი აზრით შეგიცვლით თუ არა ქიმიის სწავლისადმი დამოკიდებულებას სასწავლო გარემოს შეცვლა და რატომ?

12. გიშლით თუ არა ხელს რაიმე ფაქტორი სწავლის მიღწევაში ხელს და რატომ?

დანართი-2. კვლევის შემდგომი გამოკითხვის ფურცელი მოსწავლეებისათვის

კლასი-მე-8

მოგესალმებით,

გთხოვთ მონაწილეობა მიიღოთ გამოკითხვაში, რომელსაც ვატარებ პედაგოგიური პრაქტიკის კვლევის ჩატარების შემდგომ კვლევის შედეგების შეფასების მიზნით.

თქვენი ანონიმურობა დაცულია და გთხოვთ პასუხების გაცემის დროს იყავით გულწრფელი.

1. გიყვართ თუ არა საგანი?

ა) დიახ ბ) არა

2. გიქმნით თუ არა სირთულეს სწავლაში ტექსტში მოცემული ცნებები და ტერმინები?

ა) დიახ ბ) არა

3. ხართ თუ არა ჩართული საგაკვეთილო პროცესში?

ა) დიახ ბ) არა

4. საგნის სწავლება ხელს შეუწყობს თუ არა თქვენი მომავალი პროფესიის არჩევას?

ა) დიახ ბ) არა

5. გამოიყენებთ თუ არა ამ საგანში მიღებულ ცოდნას სხვა საგნის შესწავლის დროს?

ა) დიახ ბ) არა

6. ამაღლდა თუ არა თქვენი ინტერესი საგნის სწავლებისადმი? (დადებითი პასუხის შემთხვევაში გთხოვთ მიუთითოთ, რამ აამაღლა?)

7. რა უფრო მნიშვნელოვანია თქვენთვის, ნიშნები თუ ცოდნა და რატომ?

8. როგორ ფიქრობთ ჩატარებულმა კლასგარეშე დამატებითმა აქტივობებმა აამაღლა თქვენი ინტერესი საგნისადმი?

9. როგორ ფიქრობთ, გამოგადგებათ თუ არა ქიმიაში მიღებული ცოდნა ყოველდღიურ ცხოვრებაში?

10. როგორ აგრძელებთ სწავლის პროცესს კარგი ნიშნის მიღების შემდეგ?

11. თქვენი აზრით შეგიცვალათ თუ არა ქიმიის სწავლისადმი დამოკიდებულება სასწავლო გარემოს შეცვლ

ამ და რატომ?

12. გიშლით თუ არა ხელს რაიმე ფაქტორი სწავლის მიღწევაში ხელს და რატომ?

დანართი-3. კვლევის დროის გეგმა

	ოქტომბერი	ნოემბერი	დეკემბერი	იანვარი	თებერვალი	მარტი	აპრილი
საკვლევი თემის შერჩევა	✓						
ლიტერატურის მიმოხილვა	✓	✓	✓	✓	✓	✓	
ჰიპოთეზები და პრობლემების	✓	✓					

სავარაუდო მიზეზების ჩამოყალიბება							
კვლევის ინსტრუმენტების შეჩვევა		✓					
მონაცემთა ანალიზი		✓	✓				
დასკვნები			✓				
ინტერვენციები				✓	✓	✓	✓
ინტერვენციების შეფასება							
კვლევის ანგარიშის მომზადება						✓	✓

დანართი-4. შესასვლელი ბილეთის ნიმუში

სახელი და გვარი	გაკვეთილის მიზანი
რა არის ჩემთვის ცნობილი ამ საკითხთან დაკავშირებით?	რა არის ჩემი მიზანი ამ გაკვეთილზე?
ერთი კითხვა, რომელსაც მინდა, რომ პასუხი გაეცეს	ძირითადი ტერმინები:

<p>რამდენად დარწმუნებული ვარ ჩემს ცოდნაში ამ საკითხთან დაკავშირებით</p> <p>☺ ☹ ☹</p>	

გასასვლელი ბილეთის ნიმუში

დღევანდელი გაკვეთილის მიზანი იყო...

3 ყველაზე მნიშვნელოვანი რამ, რაც ამ გაკვეთილიდან დამამახსოვრდა:

1.-----

2.-----

3.-----

ამ გაკვეთილზე მიღებული ცოდნა რეალურ ცხოვრებაში გამომადგება....

